პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი
პარასკევი
3
აგვისტო
№ 179
(17524)
ფასი
2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

შრომის ქურაში

ედაქციაში მოდიან ავტორები, მოდიან სხვებიც — ვინ საჩივრით, ვინ საკონსულტაციოდ, ვის კიდევ ხურს, უბრალოდ, გული გაგვიხსნას, თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მომენტებზე მოგვესაუბროს. ერთი ამ უკანასკნელთაგანი იყო მოკრძალებული, კმაყოფილებით სახეგაბრწყინებული ქალიშვილი. თქვენს გაზეთში ბევრი რამ წამიკითხავს ახალგაზრდობის შრომითს აღზრდაზე, გვითხრა მან, არიან ახალგაზრდები, რომლებიც შრომას გაურბიან; ჩემთვის კი პროფესია სიამაყეა. იგი შრომით შეიძინება. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე შევუდექი მუშაობას. ოჯახი პატარა-ობდანვე მინერგავდა შრომის სიყვარულს. ვიცი, ბევრის ოცნებაა საშუალო სკოლის დამთავრების წელსვე მოხვდეს უმაღლეს სასწავლებელში — „არ გაიცდინოს“ წელი. მაგრამ საკითხავი, ითვლება კი შრომის წელი გაცდენილად? მეც ვიყავი სწავლის ფრიადოსანთა შორის, მაგრამ წარმოებას შევიუერე. შრომითვე ავისრულე ოცნება — შევსულიყავი პარტიის რიგებში. სურვილი მჭონდა პროფესიას დავუფლებოდი, კვალიფიციური მუშა გავმხდარიყავი — დამაინტერესა მჭსოველის პროფესიამ. და შევიდი კიდეც პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, გმირი ქალის — ზოია რუხაძის სახელს რომ ატარებს; აქ ბევრი ჩვენი დროის გმირი გაზრდილა. ახლაც იზრდებიან მომავალი გმირები. შრომასა და სწავლაში ვცოვე სულიერი ამაღლება, ფიზიკური სიჯანსაღე. უკვე დაზგას ვუდგავარ, სასწავლებლის ფრიადოსანი კურსდამთავრებული და აღმზრდელი მასწავლებლისაგან შთაგონებული. ვამაყობ მჭსოველის პროფესიით. არც უმაღლესში შესვლაზე ამიღია ხელი. წინ არის სიძნელეები, მაგრამ ადამიანის ცხოვრების აზრი ხომ სიძნელეების დაძლევით გამოწვეული სიხარულია!..

თბილისის ზ. რუხაძის სახელობის 36-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ფრიადოსანი კურსდამთავრებულის თამილა გაბულდანის ეს სიტყვები ასობით და ათასობით პატრიოტი ჭაბუკისა და ქალიშვილის გულისთქმაა. ისინი ხომ სამშობლოს სადიდებლად სწავლობენ, შრომობენ და იღვწიან.

პროფესიული-ტექნიკური განათლების სისტემა საქართველოში საერთო-სახალხო განათლების ის რგოლი შეიქნა, რომლისკენ ახალგაზრდობის სწრაფვა წლითიწლობით მატულობს, შესაბამისად იზრდება ქსელიც, მტაცდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაღლდება აღმზრდელ-მასწავლებლებისა და ოსტატების მომზადების დონე.

პარტიის XXV ყრილობამ დიდ სახელმწიფოებრივ პროგრამად დაგვისახა მოვამზადოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მაღალი კვალიფიკაციის მუშები ახალგაზრდობის რიგებიდან, უწინარეს ყოვლისა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, რომლებიც საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს ერთდროულად შეიძინონ სპეციალობაც და ზოგადი განათლებაც, აგრეთვე ტექნიკური სასწავლებლებში, სადაც ახალგაზრდები ეუფლებიან პროფესიას.

არასოდეს არ მდგარა საქართველოში პროფესიულ-ტექნიკური განათლების დონე იმ სიმაღლეზე, ამ ბოლო წლების მანძილზე რომ არის მიღწეული. ეს ამ საქმისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის შეუნელებელი ზრუნვის შედეგია. მარტო წელს სისტემის 28 ათასი კურსდამთავრებული ჩაება შრომის ფერხულში. ეს დიდი ძალაა. ეს მთელი არმიაა კვალიფიციური მუშებისა, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობამ რომ მიიღო.

ამაღლდა ხალხის თვალში საშუალო პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლების ავტორიტეტი. ავტორიტეტს კი „გარედან“ ვერ შემოიტან. იგი დიდი რუდუნებით, თანამიდევრული, შეუპოვარი, პატიოსანი, შემოქმედებითი ძიებითა და მოძიებულის ხორცშესხმით ყალიბდება. სასწავლებლის მიერ ძნელად, მაგრამ სასიამოვნოდ მოპოვებული ავტორიტეტი შორს გააქვთ მერე მის აღზრდილებს, ავტორიტეტი დიდი მუხის განტოტებასავით შლის მხრებს, იგი ადის მშენებლობის ხარაჩოებზე, ჩადის შახტებსა და გვირაბებში, დგება დაზგებთან, ჩარხებთან, მართავს ათასნაირ რთულ მანქანას, შედის ახალნაგებ ბაგა-ბაღში, სკოლაში, საავადმყოფოში, კლუბში, საცხოვრებელი სახლის ბინებში, რათა ოსტატის ოქროს ხელით კეთილმოწყოს, და საბჭოთა ადამიანებიც მადლიერების გრძნობით ამბობენ: ყოჩაღ, ოსტატო! ეს კი დიდი სიამაყეა, უბადლო ჯილდოა ასეთი ოსტატის აღმზრდელი სასწავლებლისა. პროფტექნიკური განათლების ავტორიტეტზე ისიც მეტყველებს, რომ 30-ზე მეტ სასწავლებელში საკოჯურსო შერჩევაც კი მოეწყო.

შეგირდობიდან ოსტატობამდე, მოსწავლეობიდან სასწავლებლის კურსის დამთავრებამდე, ესე იგი, მთელი რთული პროცესი აღზრდისა და დასპეციალებისა დიდი, არც თუ იაკვარდით მოფენილი გზაა. ამ გზაზე შეფერხება, ვიცი და რა მიზეზითაც უნდა ხდებოდეს, საზიანოა სახალხო მეურნეობისათვის. მხოლოდ ამის ღრმა შეგნებით შეიძლება ავამაღლოთ ოსტატისა და შეგირდის, დირექტორატისა და პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციების, მოსწავლისა და აღმზრდელის, საბაზო საწარმოთა თუ შესაბამის სამინისტროთა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისა და ნაკისრი მოვალეობისათვის.

დღეს გაზეთი „კომუნისტი“ სპეციალურ გვერდს უთმობს რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მჩქეფარე ცხოვრების ამსახველ მასალებს, რომლებიც გვისურათებს სისტემის ქსელის დღევანდელ მდგომარეობა, მის უახლოეს პერსპექტივებს, მათში არის კრიტიკული შენიშვნებიც იმაზე, თუ რა აფერხებს მუშათა კლასის მომავალი შევსების, კვალიფიციური კადრების სწავლებისა და აღზრდის პროცესს. ჯერაც ყველგან რიდია მოგვარებული სასწავლებლების დაკომპლექტება, ჯერაც ნაკლებია მოსწავლეთა საერთო რიცხვში ადგილობრივი ახალგაზრდების ხვედრითი წონა — ვერ მიაღწია დაწესებულ მინიმუმს 65-70 პროცენტს; კვლავ გადასაჭრელ პრობლემად რჩება სასწავლებლების უზრუნველყოფა ინჟინერ-პედაგოგთა კადრებით. ეს მით უფრო საგრძნობია, რომ ჩვენი რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური სისტემა საბჭოთა კავშირში პირველი გადავა ახალი სასწავლო წლიდან საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ განათლებაზე; გვაქვნება ორი ტიპის სასწავლო დაწესებულებები: ქალაქისა და სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლები. ზოგიერთ საბაზო საწარმოს ავიწყდება, რომ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელზე ზრუნვა მისი წმიდათაწმიდა ვალია.

დღეს უკვე თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელშია პროფტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებელთა წარმომადგენელი, რომელიც ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის კომისიის შემადგენლობაში მუშაობს. აბიტურიენტებს, რომლებსაც ვერ გაუმართლებს პირველი გამოცდები, ტექნიკური სასწავლებლის (ასეთი კი რესპუბლიკაში ორმოცზე მეტია) წარმომადგენელი შესთავაზებს ისწავლოს მათთან, სადაც სწავლა მხოლოდ ერთ წელიწადს მოუწევს და გარკვეულ პროფესიასაც დაეუფლება, ხოლო, თუ წარჩინებით დაამთავრებს, ცხადია, უპირატესობაც ექნება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად.

ახალგაზრდა მუშათა კადრებით სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფა უდიდესი პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ამოცანაა. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის აგვისტოს დადგენილებაში და შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის იანვრის დადგენილებაში მოცემულია პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის პროცესის შემდგომი სრულყოფის ნათელი პროგრამა.

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა. ახლა დროის უპირველესი მოთხოვნაა რიგიანად დაკომპლექტდეს საშუალო პროფტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლები. ამ საქმეში დიდია სახალხო განათლების ორგანოების, ადგილობრივი პარტიული, და კომკავშირული ორგანიზაციების როლი; მათგან ქმედითი დახმარება და მხარდაჭერაა საჭირო სასწავლებლების დროულად და კარგად დაკომპლექტებაში.

პროფტექნიკური სასწავლებლები ახალგაზრდობის აღზრდის კერაა. აქ ყალიბდება მომავლის სპეციალისტი, მოქალაქე და მშენებელი. აქ მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა განუყრელია პროფესიის სწავლებისაგან და ერთ მთლიან პროცესს წარმოადგენს.

სსრ კავშირის კონსტიტუციაში ჩაწერილი მოქალაქეთა განათლების უფლება უზრუნველყოფილია ყველა სახეობის უფასო განათლებითაც, პროფესიულ-ტექნიკური განათლების ფართო განვითარებითაც. დიდია განათლების ამ სისტემის სიკეთე — იგი გვაძლევს სახელოვანი მუშათა კლასის ცვლას და შევსებას.

ხუთწლედი, შეჯიბრება!

მოამჭირნეედ, ხარისხიანად!

დამატებით — ნახევარი მილიონი

თბილისი საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ მარქსიზმ-ლენინიზმის სკოლის 20 მსმენელი და მათი ბრიგადების წევრები ჩაბმული არიან შეჯიბრებაში რათა ვადამდე, ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავისათვის შეასრულონ შეათე ხუთწლედის დავალება.

შეჯიბრებაში ჩაბმულთა შორისაა პირველი საამწყობო საამქროს ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადაც, რომელსაც — ლენინს და ოქტომბრის რევოლუციის ორდენების კავალერი, უმაღლესი თანრგიას ჰემონტაჟე გ. მეტონიძე მეთაურობს.

ელექტრომემონტაჟეები იღებენ მომავალი მანქანების ეკ-14 და ეკ-13 ტიპის კოქსის ჩამქრობი ელმავლების ჩონჩხს. მათ უნდა შეასრულონ ყველაზე დიდმნიშვნელოვანი სამუშაო „გააცოცხლონ“ უკვე თვლებზე დადგმული მანქანა. ეს კი შრომატევადი პროცესია. იმაზე, თუ რამდენად ხარისხიანად დამონტაჟდება შიდა მექანიზმები და კვანძები, ხომ ბევრად არის დამოკიდებული ელმავლის მუშაობა, რომელიც ასე სჭირდება ყველა თანამედროვე მეტალურგიულ საწარმოს.

ელმავალმშენებელთა დამკვრელური შრომის შედეგად ხუთწლედის დამლევს სახელმწიფო დამატებით ნახევარი მილიონი მანეთის პროდუქციას მიიღებს.

✦✦

1980 წლის ანგარიშში

ცხინვალი. (საკ. კორ.). მეათე ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების შესასრულებლად ნაყოფიერად შრომობს ცხინვალის საქალაქო სამრეწველო კომბინატის კოლექტივი. აქ ბოლო წლებში სისტემატურად რიტმულად და ხარისხიანად სრულდება საწარმოო დავალებანი. დაზგადანადგარების აყირავიანი გამოყენებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების შედეგად სასურველ მიზანს აღწევენ. სამ წელიწად-ნახევარში ოთხი წლის დავალება შესრულდა, გამოშვებული და რეალიზებულია 10.242 ათასი მანეთის პროდუქცია. კომბინატის კოლექტივი ასი დასახელების ნაწარმს ამზადებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ გეგმა ყველა ნომენკლატურის მიხედვით სრულდება. სამრეწველო კომბინატის დირექტორმა ნ. გომოზოვმა გვითხრა, არც ერთი ჩამორჩენილი საამქრო და ბრიგადა არ გვყავსო. კარგად შრომობენ აზა ჯაბიევასა და ზინა ცხოვრებოვას ბრიგადები, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში ერთმანეთს მეტოქეობენ.

გ. თედეევი.

ქარხანა ამუშავების წინ

ვორონეჟის ოლქი. ქალაქ როსოშის დონისპირა ქიმიური ქარხანა ემზადება გამოუშვას მინერალური სასუქების პირველი პროდუქცია. დამთავრდა წარმოების პირველი რიგის მშენებლობა, რომლის სიმძლავრე წელიწადში 450 ათას ტონა ამიაკის და 450 ტონა ამიაკის გვარჯილის გამოშვებას ითვალისწინებს. ამჟამად აქ მიმდინარეობს ამოქმედების სამუშაოები.

სურათზე: აზოტმჟავას წარმოების საამქროს ერთ-ერთი უბანი.

ვ. კოჟევნიკოვის ფოტო (საკადრის ფოტოქრონიკა).

საკადრის ცნობა

ექსპერიმენტები ორბიტაზე

ფრუნზის მართვის ცენტრი, 1 აგვისტო. 157 დღეა, რაც კოსმონავტები ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი დედამიწისირგვლივ ორბიტაზე მუშაობენ.

ფრუნზის პროგრამის შესაბამისად, სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ეკიპაჟი განვლილი დღეების მანძილზე განაგრძობდა კოსმოსური ტექნოლოგიის ექსპერიმენტებს.

კოსმონავტები მუშაობდნენ „საორთქლებელი“ საექსპერიმენტო აპარატურით, რომელიც გათვალისწინებულია კოსმოსური ვაკუუმისა და უწონობის პირობებში ლითონების აორთქლებისა და კონდენსაციის მეთოდით სხვადასხვა ზედაპირის ლითონით დაფარვისათვის. ექსპერიმენტის დროს „საორთქლებელი“ აპარატურის სამუშაო ბლოკი მოთავსებული იყო განსაკერეგმენტზებულ რაბის კამერაში, ხოლო მართვა ხორციელდებოდა სადგურშიგნითა პულტიდან. მიღებულ ნიმუშებს დედამიწაზე ჩამოიტანენ.

შემდგომში ანალოგიური დანადგარები შეიძლება გამოყენებულ იქნეს კოსმოსურ სივრცეში სხვადასხვა დანაფარის, მათ შორის ისეთი დანაფარების შექმნისა და აღდგენისათვის, რომლებიც განკუთვნილია კოსმოსური ობიექტების ზედაპირის ლითონით დაფარვისათვის. ექსპერიმენტის დროს „საორთქლებელი“ აპარატურის სამუშაო ბლოკი მოთავსებული იყო განსაკერეგმენტზებულ რაბის კამერაში, ხოლო მართვა ხორციელდებოდა სადგურშიგნითა პულტიდან. მიღებულ ნიმუშებს დედამიწაზე ჩამოიტანენ.

31 ივლისსა და 1 აგვისტოს „კრისტალის“ დანადგარზე მოეწყო უწონობის პირობებში ალუმინუმის სულფიდისა და გერმანიუმის მონოკრისტალების მიღების ექსპერიმენტები.

დღეს ეკიპაჟს მორიგი სამედიცინო შემოწმების დღე აქვს. მოეწყო კოსმონავტთა გულისა და სისხლ-ძარღვთა სისტემის კომპლექსური კვლევა, მათ შორის ველოერგომეტრზე დიზიტებული ფიზიკური დატვირთვით. სალომოსათვის დაეგეგმილია სამედიცინო-ბიოლოგიური ექსპერიმენტი იმ მიზნით, რომ მიიღონ მონაცემები კომპლექსის სათავსებში გაზის გარემოს შედგენილობის შეცვლის დინამიკის შესახებ.

ეკიპაჟის მოხსენებებითა და ტელემეტრიული მონაცემებით, „სალუტ-6“ სადგურისა და „სოიუზ-34“ ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

ირაკლი აბაშიძის იუბილესათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის გ. ენუქიძის თავმჯდომარეობით გაიმართა შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის, პოეტ-აკადემიკოსის ირაკლი აბაშიძის დაბადების 70 წლისთავის აღმნიშნელი სიუბილეო კომისიის სხდომა. იუბილე გაიმართება მიმდინარე წლის ოქტომბერ-ნოემბერში.

წინასაიუბილეო დღეებში მოეწყობა პოეტის შეხვედრები რესპუბლიკის მშრომელებთან, ლიტერატურული საღამოები. ნოემბერში ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება საიუბილეო საღამო. დიდი საიუბილეო საღამო გაიმართება მოსკოვშიც.

ცენტრალური და რესპუბლიკური ტელევიზია სპეციალურ გადაცემებს მოუძღვნიან მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატის შემოქმედებას, რომლის შთაგონებული ხმა უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც გაისმის.

საიუბილეო დღეებში გამოვა წიგნები, რომლებიც მიეძღვნება ირაკლი აბაშიძის საზოგადო მოღვაწეობასა და შემოქმედებას, მოეწყობა გამოფენები, გადაიღებენ დოკუმენტურ ფილმს.

გაიმართება საქართველოს მწერალთა კავშირისა და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული საიუბილეო სამეცნიერო სესია. იუბილესათვის მოსკოვისა და თბილისის გამომცემლობები გამოუშვებენ პოეტის ნაწარმოებებს. (საქინფორმი).

ლ. ი. ბრეჟნევისა და ნ. ჩაუშესკუს შეხვედრა

1 აგვისტოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი ყირიმში შეხვდა რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ნ. ჩაუშესკუს. საუბარში მონაწილეობდნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომეიკო, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი შ. ანდრეი.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ჩაუშესკუმ ერთმანეთს გააცნეს საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში კომუნისტური და სოციალისტური მშენებლობის მიმდინარეობა, განიხილეს საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ურთიერთობის განვითარების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის კომპარტიის ურთიერთობის, საერთაშორისო საკითხები, მათ გამოთქვეს ერთსულოვანი აზრი, რომ უნდა გაგრძელდეს მუშაობა ორი ქვეყნის ხუთწლიანი გეგმების კოორდინაციისა და ეკონომიკური თანამშრომლობის და წარმოების კოოპერაციის განვითარებისათვის როგორც ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში, ისე ორმხრივ საფუძველზე.

გაიმართა აზრთა გაზიარება საერთაშორისო საკითხებზე. ლ. ი. ბრეჟნევსა და ნ. ჩაუშესკუს საჭიროდ მიაჩნიათ დაუყოვნებლივ განხორციელდეს ღონისძიებანი გამალებული შეიარაღების ასალგამავად, დაძაბულობის შენელების პროცესისათვის თანამიმდევრული, სულ უფრო დინამიკური და ღრმა ხასიათის მინიჭებისათვის. სსრ კავშირისა და რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკას განზრახული აქვთ ვარშავის ხელშეკრულების წევრ სხვა სახელმწიფოებთან, სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე ყველა ქვეყანასთან ერთად გააძლიერონ მეცადინეობა ჰელსინკის აქტით გათვალისწინებული თანამშრომლობის ყველა მიმართულებით, — კერძოდ, იმ დარგში, რომ გაფართოონ ნდობის ღონისძიებანი და სამხედრო-დაძაბულობის შენელებით განამტკიცონ პოლიტიკური გენინ, რომ ეს ურთიერთობა დღენიადაგ ვითარდებოდეს ყველა მიმართულებით ჩვენს ქვეყნებში სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის, ქვეყნად სოციალიზმის, თანამშრომლობისა და მშვიდობის საერთო საქმის ინტერესებისათვის.

ერთხელ კიდევ მხურვალე მადლობას მოგახსენებთ ჯილდოსათვის, რომელიც თქვენ გადმოგეცით, ლენინდ ილიას ძევ, და ამის გამო მოლოცვისათვის.

ჯილდოს გადაცემას დაესწრნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომეიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი; რუმინეთის მხრივ — რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი შ. ანდრეი, რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივნის მრჩეველი კ. მიტია. (საკადრი).

საპატიო ჯილდოს გადაცემა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა 1 აგვისტოს ლენინის ორდენი გადასცა რუმინეთის კომპარტიის გენერალურ მდივანს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ნ. ჩაუშესკუს.

საპატიო ჯილდოს გადაცემის დროს ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა:

— პატივცემულო ამხანაგო ჩაუშესკუ!

ამხანაგებო!

ჯერ კიდევ 1978 წელს სსრ კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის და დაბადების მესამოცე წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება ამხანაგ ნიკოლაე ჩაუშესკუს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

სასიამოვნოა, რომ დღეს შესაძლებლობა მაქვს გადმოგცეთ ეს ჯილდო. მინდა, რომ დღევანდელი საზეიმო აქტი კიდევ ერთხელ ადასტურებდეს საბჭოთა კომუნისტების ღრმა პატივისცემასა და დიდ სიმპათიას რუმინელი კომუნისტებისადმი. ჩვენი ხალხი აფასებს მეგობრობასა და თანამშრომლობას რუმინელ ხალხთან. ჩვენ განუხრელად ვესწრაფვით იმას, რომ საბჭოთა კავშირ-რუმინეთის შინაარსით მრავალფეროვანი ურთიერთობა საიმედოდ ემსახურებოდეს სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ინტერესებს, სოციალისტური თანამეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, მთელი მსოფლიო მშვიდობის საქმეს.

ნება მიბოძეთ, პატივცემულო ამხანაგო ჩაუშესკუ, მოგილოცოთ საპატიო ჯილდო.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ნ. ჩაუშესკუმ:

— პატივცემულო ამხანაგო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევ!

ამხანაგებო!

მადლობას მოგახსენებთ საპატიო ჯილდოსათვის — ლენინის ორდენისათვის, რომლითაც დამაჯილდოვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და რომელიც დღეს გადმომეცით.

ეს მიმაჩნია რუმინეთის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის კარგი, მეგობრული ურთიერთობის გამოვლინებად, პატივისცემის იმ გრძნობების გამოხატულებად, რომლებითაც ერთმანეთს ეკიდებიან ჩვენი ქვეყნების ხალხები. ამასთან ეს ჯილდო მიმაჩნია ამ ურთიერთობის განვითარებაში რუმინელი და საბჭოთა კომუნისტების, რუმინელი და საბჭოთა ხალხების ურთიერთობის განვითარებაში, მეგობრობის განმტკიცებაში ჩემი წვლილის შეფასებად.

ჩვენი პარტია და ჩვენი ხალხი დიდად აფასებენ რუმინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა იმ შეხვედრის მნიშვნელობა, რომელიც 1980 წელს უნდა გაიმართოს მადრიდში.

საუბრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მსოფლიოს პოლიტიკაში დიდი პოზიტიური მოვლენა გახდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვენის შეხვედრა და უწონარეს ყოვლისა სტრატეგიული შეტანეთი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების ხელმოწერა.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ჩაუშესკუმ დაადასტურეს, რომ საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის ხალხები მუდამ სოლიდარობენ განთავისუფლებული ხალხების ბრძოლას რასიზმის, ნეოკოლონიური ბატონობის წინააღმდეგ, თავისუფლების, სოციალური პროგრესისა და მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის.

შეხვედრამ გულახდილ ამხანაგურ ატმოსფეროში ჩაიარა. (საკადრი).

ტინისხიდელთა ალოობა

ჯახეთის რაიონებში ალოობა მთავრდება, ქართლისაში კი მთელი ძალით ჭარხლდა. გორის რაიონში თავთავიან კულტურებს 5.264 ჰექტარი უკავია. აქედან ხორბალია 4.499 ჰექტარი, ქერი — 765 ჰექტარი, დანარჩენი კი შვრია და ჭვავია. მემინდვრეები ბევრგან უხვ მოსავალს იმკიან. მოწინავეთა შორის არიან ტინისხიდის მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოსა და შავშვების მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა. მოსავლის აღებაში დაწინაურდნენ „სახსაქკოლმსოფლტექნიკის“ გორის რაიონული განყოფილების კომბაინერები ძმები ნოშრევან და გერონტი ბეგიაშვილები. მამა-შვილი ალექსი და გივი აკოფაშვილები, ო. ტალახაძე, ვ. შავლოხაშვილი, ზ. ფუხაევი, თ. ბუჯიაშვილი, ბ. სურამელი, ვ. ფიდიური და სხვები.

სურათზე: ტინისხიდის მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს დირექტორი ჯემალ ლაფარი, „სახსაქკოლმსოფლტექნიკის“ გორის რაიონული განყოფილების მთავარი ინჟინერი ჯემალ ჯინიკაშვილი და მოწინავე კომბაინერი ომარ ტალახაძე მოსავლის აღების დროს.

ვ. გენგიურის ფოტო.

გვირაბმშენებელთა რეკორდი

ცხინვალი. კავკასიონში გამავალი ავტოსაგზაო გვირაბის მშენებლობაზე „თბილქალაქმშენის“ № 13 რაზმის მშენებლებმა დიდ გამარჯვებას მიაღწიეს. მიმდინარე წლის ფებრუარში მათ სამხრეთ პორტალის მხარეს 100 ოცრძივი მეტრი გაიარეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 87 მეტრისა. წარმატებით მიმდინარეობს სადაზვერვო - სატრანსპორტო შტოლნის მშენებლობაც. ამოღებულია ორ მილიონ კუბურ მეტრზე მეტი კლდოვანი ქანი.

წარმატება განაპირობა გვირაბგამყვანთა დიდმა ოსტატობამ, ტექნიკის სიმძლავრეთა ეფექტიანმა გამოყენებამ, ყველა დამხმარე ობიექტის რიტმულმა მუშაობამ.

მშენებელთა შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება მუშაობის ხუსტი რიტმისა და მაღალი ხარისხისათვის. შეჯიბრების მეწინავენი არიან გვირაბგამყვანთა და მეებეტონეთა ბრიგადები, რომლებსაც სათავეში ა. ბიკოევი, გ. ხეცურიანი, ლ. გაგუა, ჯ. გოქაძე უდგანან.

„თბილგვირაბმშენ ი ს“ № 15 რაზმის კოლექტივი, რომელიც გვირაბის ჩრდილოეთი პორტალის მხრიდან მოდის, ასევე წარმატებით მუშაობს. დამკვრელური შრომის შედეგად მშენებლებმა ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან უკვე გაიყვანეს 1.000 გრძივი მეტრი ძირითადი გვირაბი. ავტოსაგზაო გვირაბის სიგრძე, რომელიც როკის უღელტეხილზე გადის, სამი ათას მეტრს შეადგენს.

მომავალი მაგისტრალი იქნება უახლოესი გზა, რომლითაც მთელი წლის განმავლობაში იგლიან ავტომანქანები კავკასიიდან რუსეთის ფედერაციის სამხრეთ რაიონებში. მისი მეშვეობით დაჩქარდება სახალხო-სამეურნეო ტვირთზიდვა, შესაძლებელი გახდება კავკასიის უმდიდრესი ბუნებრივი რესურსების მაქსიმალური გამოყენება.

კავკასიონის ქედი

✦✦

გაყვანილია 100 გრძივი მეტრი გვირაბი, ნაცვლად 87 მეტრისა

ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის

„სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულება მსოფლიოს იმედია“ — ასე ეწოდება დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის კინოფირს, რომელიც ახლა გადის მოსკოვში. იგი ეძღვნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერის შეხვედრას, რომელიც 15-18 ივნისს მიმდინარეობდა ვენაში.

ფილმი აშუქებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმების დიდ საერთაშორისო მნიშვნელობას, იმ თვალსაჩინო წვლილს, რომელიც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა შეიტანა მშვიდობის დამკვიდრების, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში. (საკადრი).

პროფტექნიკურის დიდი სიკეთე: მუშათა კლასს ღირსეული ცვლა და შევსება

შრომის ჟურნალი

მთავარია მონდომება, თორემ სწავლისაკენ მრავალი გზა მიდის

„იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მიგვითითებს, რომ იდეური გავლენის სფეროში მოვაქციოთ ახალგაზრდობის ყველა ჯგუფი, აღვზარდოთ იგი პარტიისა და ხალხის, რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით, კომუნისტური მორალის სულისკვეთებით, ამასთან გავითვალისწინოთ ახალგაზრდების მოთხოვნები. მათი განათლებისა და პროფესიული მომზადების სულ უფრო ძლიერი ფონი.

28 ათასი ახალგაზრდა ცხოვრების საგზურებით — პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დიპლომებით ნელს შეემატა რესპუბლიკის სახელოვანი მუშათა კლასის რიგებს. სამრეწველო სანარმოებსა და სოფლის მეურნეობაში წასვლის წინ მათ ნარმოების წარჩინებულმა მუშაკებმა გადასცეს შრომითი ესტაფეტა, რომელიც ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა სიამაყით ჩაიბარეს და ფიცი დადეს, რომ სასახელოდ ატარებენ მას. ამასთან უსაზღვრო ერთგულება გამოუცხადეს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, გმირ კომკავშირს, რომლებიც დაუცხრომლად იღვწიან მათი სწავლისა და შრომისათვის, ბედნიერი ცხოვრებისათვის.

გაზეთის ეს გვერდი რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლების ცხოვრებას ასახავს. აქ დაბეჭდილი მასალების მაგალითზე ჩანს, თუ როგორ ინრთობიან მომავალი მუშები, როგორ ეუფლებიან ისინი სპეციალობებს, როგორ ყალიბდებიან როგორც მომავლის მშენებელი კადრები.

მწყობრშია 137 სასწავლებელი, ხუთწლედის ბოლოსათვის კი ეს ციფრი 141-მდე გაიზრდება. 83 მარტო საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი გვექნება, გაისად მოიმატებს ტექნიკური სასწავლებლების რიცხვი და 48 ერთეულს მიაღწევს. ახალი სასწავლო წლისათვის რესპუბლიკის 78 ქალაქიდან და რაიონიდან 62-ს ექნება პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი.

თუ ამჟამად საქართველოს პროფტექნიკური განათლების სისტემა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების 28-30 პროცენტს აკმაყოფილებს, მომავალ წლებში ეს პროცენტი 40-45-მდე ავა. მომავალ ხუთწლედში საგრძნობლად გაიზრდება მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მომსახურების სფეროსათვის კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადება.

ამ გვერდში მოთხრობილია პროფტექნიკური განათლების დიდ სიკეთეზე, მის დღევანდელ დღეზე და მომავლის დიდ პერსპექტივებზე, მოსწავლეთა უპირატესობებზე.

უმაღლეს და მთელ რიგ საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში გამოცდების ცხარე დღეებია. კონკურსი ძალიან დიდია. იმათ, ვინც კონკურსით ვერ მოხვდება, თითოეულ ამ სასწავლებელში შექმნილი შრომითი მოწყობის კომისიის ნევრები, რომელთა შორის პროფტექნიკური განათლების წარმომადგენელიც არის, დაეხმარებიან პროფესიის შერჩევაში, იმაში, რომ იპოვონ ცხოვრებაში თავისი ადგილი; იქნებ ცხოვრებაში თავისი ადგილი ახალგაზრდებმა იპოვონ ჩვენს ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლით და პროფესიის დაუფლებით. იქ მათ შეუძლიათ პროფესიაც მიიღონ, ხოლო სასწავლებლის წარჩინებით დამთავრებისას — უპირატესობაც უმაღლესში შესასვლელად.

ხელობა ათასია, პირჩიე!

თქვენთვის, ჭაბუკებო და ქალიშვილებო!

ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მეცნიერულად განსაზღვრავს ახალგაზრდობის პროფესიული განათლების გაზრდილ ამოცანებს მიმდინარე ეტაპზე.

მომდინარე სასწავლო წელს საქართველოს სსრ პროფტექნიკური განათლების სისტემაში იყო 125 სასწავლებელი. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე პროფტექნიკური განათლების სასწავლებლებში მოსწავლეთა მიღების მხრივ საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში, პირველად მათი არსებობის ისტორიაში 30-ზე მეტ სასწავლებელში მოეწყო საკონკურსო შერჩევა. ამ მხრივ გამოირჩევიან თბილისის № 6, 11, 34, 65, 75, 80, ფოთის № 12, ბათუმის № 1 და 76, წულუკიძის № 9 და მრავალი სხვა სასწავლებელი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მეათე ხუთწლედის ბოლოს ჩვენს რესპუბლიკაში გათვალისწინებული იყო საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ განათლებაზე გადასვლა როგორც არსებული პროფტექნიკური სასწავლებლების საშუალო და ტექნიკურ სასწავლებლად გარდაქმნის, ისე პროფესიათა გაფართოებისა და ახალი კომპლექსების მშენებლობის გზით, დღეს ჩვენ სიხარულით აღვნიშნავთ, რომ ეს ამოცანები ვადაზე ადრე, 1979 წლის 1 სექტემბერს მთლიანად შესრულდება და რესპუბლიკა ჩვენს ქვეყანაში პირველი გადავა საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ განათლებაზე.

ახალი სასწავლო წლისათვის საქართველოს პროფტექნიკური განათლების სისტემაში გვექნება ორი ტიპის სასწავლო დაწესებულებები: ქალაქისა და სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლები.

ქალაქისა და სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მიიღებიან მოსწავლეები 8 კლასის განათლებით და სწავლების 3 წლის განმავლობაში პროფესიასთან ერთად იძენენ საშუალო განათლებასაც, ხოლო ტექნიკურ სასწავლებლებში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები და სწავლების 1-2 წლის განმავლობაში დაეუფლებიან გარკვეულ პროფესიას.

ქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან კვებით, ტანსაცმლით და, საჭიროების შემთხვევაში, საერთო საცხოვრებლით, ხოლო სოფლის სასწავლებლების მოსწავლეები — სტიპენდიითაც. ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს ეძლევათ სტიპენდია — 30-37 მანეთი და მეტ წილ პროფესიებში სტიპენდიის გარდა ეძლევათ დამატებითი ანაზღაურება პირველი თანრიგის მუშის სატარიფო განაკვეთის დონემდე — 70-90 მანეთამდე. მოსწავლეებს ეძლევათ საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებული თანხის 33-დან 50 პროცენტამდე პროფესიების მიხედვით.

საშუალო პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს, რომლებსაც ყველა საგანში აქვთ „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასება და წარმატებით ჩაბარეს საკვალიფიკაციო გამოცდები, ნება ეძლევათ ჩაბარონ მისაღები გამოცდები უმაღლესი სასწავლებლის დღის განყოფილებაზე შესაბამის სპეციალობაზე, სავალდებულო სამუშაო სტაჟის გარეშე და კონკურსში მონაწილეობა მიიღონ იმ პირთა შორის, რომელთაც აქვთ არანაკლები ორი წლის მუშაობის სტაჟი.

საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, რომლებმაც წარჩინების დიპლომი მიიღეს, უმაღლეს სასწავლებელში შესვლისას სარგებლობენ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ოქროს მედალოსნისათვის დადგენილი უპირატესობით.

საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუვადდებათ სწავლების პერიოდში და სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ერთი წლით, თუ ისინი იმუშავებენ მიღებული სპეციალობით.

საქართველოს პროფტექნიკური განათლების სასწავლებლებმა წარმატებით შეასრულეს 1976-1978 წლებში მოსწავლეთა მიღებისა და გამოშვების გეგმა. ამ წლებში მომზადდა და სამუშაოდ გაიგზავნა 58360 კვალიფიციური მუშა.

ამრიგად, მეათე ხუთწლედის წილად მოდის რესპუბლიკის პროფტექნიკური განათლების სისტემის მიერ სახალხო მეურნეობისათვის 125000-ზე მეტი კვალიფიციური მუშის მომზადება. მათ შორის საშუალო განათლების მქონეა 81 პროცენტი.

მეთერთმეტე ხუთწლედში კვალიფიციური მუშათა კადრების გამოშვება მეათე ხუთწლედთან შედარებით საგრძნობლად გაიზრდება. განსაკუთრებით გაიზრდება კადრების მომზადება ლითონდამამუშავებელი, მშენებლობის მექანიზაციის, სოფლის მეურნეობის, ელექტროტექნიკის და მომსახურების სფეროსათვის.

პროფტექნიკურ სასწავლებლებში არა მარტო პროფესიულ მომზადებას უზრუნველყოფენ, არამედ ზრუნავენ ახალგაზრდობის იდეოლოგიურ და ესთეტიკურ აღზრდაზე, ფიზიკურ განვითარებაზე. დიდი ყურადღება ეთმობა გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, ტურისტულ ლაშქრობებს, საბავშვო-ულო დასასვენებელ ბანაკებს, ექსკურსიებს. მრავალი მოსწავლე უფასოდ ისვენებს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში. ფართოდ განვითარდა ტექნიკური შემოქმედებაც, ინჟინერ-პედაგოგთა ხელმძღვანელობით მოსწავლეები ამზადებენ სასწავლო თვალსაჩინოებას მანქანებისა და მოწყობილობის მოქმედ მოდელებს და სხვ. მოსწავლეთა შორის ბევრია გამომგონებელი, კონსტრუქტორი და მემოდელე.

საქართველოს კომპარტიის. საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, საბაზო სამინისტროებმა, განათლების სამინისტრომ, საბჭოთა ორგანოებმა, პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ პროფტექნიკური სასწავლებლების დაკომპლექტებას, ადგილობრივმა ახალგაზრდობამ მოსწავლეთა კონტინგენტის საერთო მიღებაში უნდა შეადგინოს სულ ცოტა 65-70 პროცენტი. სამწუხაროდ, გასულ წლებში ამ მხრივ გვქონდა მუშაობაში ნაკლოვანებები.

კვლავაც დიდ ყურადღებას მივაქცევთ დამრიგებლობის მოძრაობას. ახლა მტკიცედ დამკვიდრდა დამრიგებლობის ისეთი ფორმები, როგორიც არის შეფობა ახალგაზრდა მუშებისადმი უშუალოდ წარმოებაში.

პროფტექნიკურ სასწავლებლებში მაღალი კვალიფიკაციის ახალგაზრდა მუშების მომზადების მნიშვნელოვნად გადიდება გადაუდებლად მოითხოვს ინჟინერ-პედაგოგთა კადრების მომზადების სისტემის — მთავარი და განმსაზღვრელი ფაქტორის — შემდგომ განვითარებას, სახალხო მეურნეობისათვის მომზადებული ახალგაზრდა მუშების ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებას.

მომდინარე ხუთწლედში პროფტექნიკური განათლების სისტემისათვის პირველად წარმოებს ინჟინერ-პედაგოგების მომზადება საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტში, აგრეთვე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფისა და ამ მუშაობაში მეცნიერულ-ტექნიკური ინტელიგენციის, თვალსაჩინო პედაგოგებისა და საზოგადოებრივ და სამეურნეო უწყებათა წარმომადგენლების ჩაბმის მიზნით შეიქმნა სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო-პედაგოგიური საბჭო, უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და საშუალო სკოლები შეფობას უწევენ პროფტექნიკურ სასწავლებლებს. ამისათვის შეიქმნა რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭო, პროფტექნიკური განათლების სექტორი პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში, საყრდენი სასწავლებლები და დირექტორთა ზონალური საბჭოები, აგრეთვე პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა შრომის ვეტერან მშობლთა რესპუბლიკური საბჭოები.

სამწუხაროდ, ჯერაც ნაკლებად ზრუნავენ კურსდამთავრებულებზე, არ აბამენ მათ მუშათა კლასის რიგებში, არ უქმნიან საჭირო პირობებს, არ ამაგრებენ მათ კადრის მაღალკვალიფიციურ მუშებს და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, გამოყოფენ მცირე ანაზღაურების სამუშაოებს, ზოგჯერ უმცირებენ მიკუთვნებულ თანრიგებს, აღარაფერს ვამბობთ მათს საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასა და მორალურ და მატერიალურ წახალისებაზე.

სწავლისა და აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომა, აღმზრდელობითის ღონისძიებათა ფენომენალობის ამაღლება ყველა რგოლში — ეს გახლავთ აუცილებელი პირობა სისტემის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

დაე მომავალი სასწავლო წელიც მუშათა კლასის ღირსეული ავლის მომზადების ყოფილშობილური საქმის სამსახურში იდგეს!

ს. რიგვავა,

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

ინდუსტრიული, პედაგოგიური

უნდა უზრუნველვყოთ, რომ საშუალო პროფტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლები ამზადებდნენ მაღალკვალიფიციურ და ფართოპროფილიან მუშებს, რომლებიც დინამიკურად განვითარებულ სოციალისტურ წარმოებას სჭირდება სოციალური და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესაბამისად.

ამ ამოცანის შესასრულებლად პროფტექნიკური სასწავლებლების კოლექტივები მიზანმიმართულ და სისტემატურ მუშაობას ეწევიან.

პროფტექნიკური განათლების სისტემისათვის პედაგოგიური კადრების მომზადების საპატიო ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება რესპუბლიკის ერთადერთი ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმი, რომელმაც არსებობის მანძილზე 2790 ახალგაზრდა სპეციალისტი მოამზადა.

ტექნიკუმში მიიღებიან შესაბამისი სპეციალობისა და საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები, მათ შორის საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობაში მომუშავენი და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი.

სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია მოსწავლეთა საწარმოო სწავლება და საწარმოო პრაქტიკა პროფესიული ჩვენების სრულყოფისათვის, და პედაგოგიური პრაქტიკა პედაგოგიური ციკლის დისციპლინებში მიღებული ცოდნის განმტკიცებისათვის.

უკვე სრულყოფილია და ინერგება ახალი სასწავლო გეგმები და პროგრამები. გამოიცა საჭირო სასწავლო და მეთოდიკური ლიტერატურა, მნიშვნელოვნად ამაღლდა მასწავლებლებისა და ოსტატების მომზადების დონე და პასუხისმგებლობა.

სამწუხაროდ, ჩვენი ტექნიკუმის სასწავლო-მატერიალური ბაზა და მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობები არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით თბილისში, ვაშლიჯვრის ტერიტორიაზე, 1976 წელს დაიწყო ტექნიკუმის ახალი კომპლექსის მშენებლობა 960 მოსწავლისათვის და 15-სართულიანი საერთო საცხოვრებლისა — 600 მოსწავლისათვის.

გათვალისწინებულია 1980 წლისათვის დამთავრდეს პირველი რიგის მშენებლობა. სასწავლო — კაბინეტ-ლაბორატორიები და სახელოსნოები აღჭურვრება თანამედროვე ხელსაწყო-მოწყობილობით და ტექნიკური საშუალებებით.

მოეწყობა ბიბლიოთეკა, საატო დარბაზი, სპორტული დარბაზი და სასადილო. მოსწავლეებისათვის შეიქმნება ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები.

ტექნიკუმის მთელი კოლექტივი აქტიურად მონაწილეობს კომპლექსის მშენებლობაში,

ე. ტყებუჩავა,

თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორი.

ნახევარი საუკუნის წინათ, 1929 წლის 29 აპრილს საფუძველი ჩაეყარა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებას. მიღებული იყო პირველი ხუთწლიანი გეგმა.

სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ჩვენს ქვეყანაში ქარხნებისა და ფაბრიკების მშენებლობა, რაც კვალიფიციურ კადრებს მოითხოვდა და სწორედ მაშინ დაისვა ღიის წესრიგში არსებული საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლების სწრაფი განვითარების საკითხი.

მაშინდელმა საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლებმა უდიდესი როლი შეასრულეს ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო სპეციალისტების მომზადების საქმეში და სიამაყით შეგიძლია ვთქვათ, რომ იმ დროს მომზადებული კადრები ათივე ხუთწლედის შრომითს მწყობრში იდგნენ და დღესაც განაგრძობენ მუშაობას.

ოცდაათიოდე წლის წინათ დავამთავრე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი ბორჯომში.

უსაზღვროდ მიყვარს ჩემი მშობლიური სასწავლებელი, რომელმაც ფრთა შემასხა, პროფესია მომცა და ცხოვრების დიდ გზაზე გამომიყვანა.

ყველაფერი კარგი, რაც ჩემშია, ამ სასწავლებელმა მომცა, აქ ჩამომიყალიბდა შრომისმოყვარეობა, აქ ვისწავლე, რას ნიშნავს მეგობრის მხარი, ამხანაგის გატანა, აქ ჩავწვდი მასწავლებლის კეთილი სიტყვის ყადრს და მისი გამოცდილების გამოყენების მნიშვნელობას.

ამ სასწავლებლის მადლია ჩემი მუშური წარმატება და ადამიანური ბედნიერება.

სასწავლებელი 1951 წელს დავამთავრე. „აბა შენ იცი, ზურაბ!“ — ახლაც მახსოვს სასწავლებელთან გამოთხოვებისას მასწავლებლის საყვარულით ნათქვამი სიტყვები.

აბა, თქვენ იცით!

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში. სწორედ აქ ვიგრძენი, რას ნიშნავს შრომითი კოლექტივი, რას გაძლევს იგი და რას მოითხოვს იგი შენგან.

მონდომება არ მაკლდა, სრულყოფილი ოსტატობას. 1961 წელს მომენიჭა კომუნისტური შრომის დამკვრელის სპატიო წოდება. ამავე დროს ამირჩიეს საამქროს პარტბიუროს მდივნად და ქარხნის პარტიული კომიტეტის წევრად.

1966 წელს დამაჯილდოვეს „სპატიო ნიშნის“ ორდენით, 1968 წელს მომენიჭა საკავშირო ჩარხმშენებლობის მრეწველობის წარჩინებულის წოდება. 1970 წელს ამირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, 1972 წელს — საქართველოს პროფსაბჭოს მდივნად საზოგადოებრივ საწყისებზე, 1973 წელს დამაჯილდოვეს „შრომის წითელი დროშის“ ორდენით, 1974 წელს ისევ ამირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, 1977 წელს მომენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ამავე წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის სპეციალობით. დიახ, მოგვიანებით, მაგრამ მაინც დავამთავრე უმაღლესი სასწავლებელი.

მე დიდხანს მიმიძღოდა წინ პროფტექნიკური სასწავლებელში მიღებული ცოდნა და ამიტომაც ვაფასებ, მიყვარს და პატივს ვცემ ჩემს სასწავლებელს და საერთოდ ამ სისტემას.

ჩვენი ქვეყნის სახელოვანი მოქალაქეებო, თქვენი ბეჯითი სწავლით და შრომით გემრავლებინოთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს ძლიერება!

ზ. სარალიძე,

პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული, საქართველოს მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

მომავალ სპეციალისტებთან

რუსთავის № 8 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი (დირექტორი — მ. ბაკურაძე) ამზადებს მეფოლადის თანაშემწეებს — მვალცავებს, ხიდური ამწის მემანქანეებს, თბომავლის მემანქანის თანაშემწეებს, ხარატებს, ზეინკლებს და სხვა სპეციალისტებს.

სასწავლებელმა 5.500-მდე სპეციალისტი მოუმზადა ქვეყანას.

სურათზე: საწარმოო სწავლების ოსტატი ე. თვალიაშვილი (მარცხნიდან მეორე) და მომავალი ზეინკლები პრაქტიკულ მეცადინეობაზე (მარცხნიდან) ხ. ჩიხრაძე, დ. მეგრელიშვილი, გ. ზარანდია, მ. მაჩკალოვი და ა. ანთაძე.

გ. გოგოხიას ფოტო.

სურათზე: თბილისის № 6 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები: მარცხნიდან პირველ რიგში ლ. მარტიაშვილი, პ. დეველაშვილი, გ. ორკოშნელი ა. ლაღამიშვილი; მეორე რიგში — გ. ბიბინეიშვილი, გ. ჯავახიშვილი, ლ. ბრეგვაძე და ს. დევიძე.

ს. კილაძის ფოტო.

სკოლიდან სასწავლებელში

მოსწავლეთა სწორი პროფესიული ორიენტაციისათვის საჭიროა კომპლექსურად მივუდგეთ სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების ერთობლივ ღონისძიებებს.

სკოლა ადგენს პროფორიენტაციისათვის შეფუშავებულ ანკეტა-კითხვარებს, რომლებსაც იანვრის არდადეგებზე ავსებენ პირველი-მეორე კლასების მოსწავლეები. ესეც პროფესიის შერჩევის კარგი საშუალებაა.

წელიწადში ორჯერ ვაწყობთ შეხვედრებს პროფტექნიკური სასწავლებლების პედაგოგებთან და მოსწავლეებთან, აგრეთვე ჩვენი სკოლის ყოფილ რვაკლასდამთავრებულ და კურსდამთავრებულ მოსწავლეებთან.

შარშან მოვიწვიეთ ქარხანა „მიკროძრავას“ მოწინავე მუშა, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დელეგატი ლამარა თოფურია და სხვები. ამ შეხვედრებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოსწავლეებზე. სკოლის IX კლასის მოსწავლეები საწარმოო პრაქტიკას საფეფო ქარხანა „მიკროძრავაში“ გადიან.

აღსანიშნავია, რომ შარშან, როგორც ყოველთვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. რვაკლასდამთავრებული 71 მოსწავლიდან გეგმით გათვალისწინებული 11 მოსწავლის ნაცვლად სასწავლებელში შევიდა 18 მოსწავლე, ხოლო ათკლასდამთავრებული 47 მოსწავლიდან გეგმით გათვალისწინებული 15 მოსწავლის ნაცვლად — 22 მოსწავლე.

რა დასამალია, ხშირად პროფტექნიკურ სასწავლებლებში სკოლებიდან აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეები იგზავნებიან. ჩვენი სკოლა ამ მხრივაც გამოირჩევა. 1978 წელს სკოლის დირექციამ პროფტექნიკურ სასწავლებლებს გაუგზავნა ხუთი წარჩინებული მოსწავლე, რომლებმაც ხუთქულიანი ატესტატით დაამთავრეს საშუალო სკოლა. წლეულსაც შეაღებენ სასწავლებლების კარს ჩვენი სკოლიდან წასული მოწინავე ახალგაზრდები.

მ. ალლაძე,

99-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

კადრები — კადრების მომზადებას!

დღევანდელი მუშა ცალკეული ტექნიკური ოპერაციების მექანიკური შემსრულებელი როდია. იგი სრულყოფილად უნდა ფლობდეს რთულ ტექნიკას, იყოს მისი ბატონ-პატრონი. ასეთი მუშის ჩამოყალიბება კი პროფტექნიკური სასწავლებლების კედლებში მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კოლექტივის ხელმძღვანელობით უნდა ხორციელდებოდეს. სამწუხაროდ, ამ დარგის კვალიფიციური პედაგოგიური კადრები ცოტა გვყავს.

უკანასკნელ წლებში ამ ხარვეზის გამოსასწორებლად გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები. საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო და მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტებზე გაიხსნა შშენებელი და მანქანათმშენებელი ინჟინერ-პედაგოგების სპეციალობათა ჯგუფები. საგულისხმოა, რომ ახალგაზრდობა დიდ ინტერესს იჩენს ამ სპეციალობისადმი. ინსტიტუტში მზადდება ორი სპეციალობის ინჟინერ-პედაგოგები. რესპუბლიკის პროფტექნიკურ სასწავლებლებში კი ამზადებენ მრავალი ათეული სპეციალობის კადრებს. რა თქმა უნდა, შეუძლებელია ინსტიტუტში გაიხსნას ყველა შესაბამისი სპეციალობის ჯგუფები, მაგრამ საჭირო იქნება მოხდეს სპეციალობათა უნიფიკაცია და დამამთავრებელ კურსებზე კი უნიფიცირებული ჯგუფების სპეციალიზაცია.

პროფესორი
ვ. ცოცხალაძე,
დოცენტი
ბ. ბოქოლიშვილი,

შორს გავარდნილა მათი სახელი

ქუთაისის № 4 საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში აღიზარდნენ და ცხოვრების პირველი საგზური აქედან მიიღეს სახელოვანმა ადამიანებმა.

სასწავლებლის აღზრდილთაგან ბევრი დღეს ბრიგადებს, უბნებს, საამქროებს და მთელ საწარმოებსაც კი ხელმძღვანელობს, მაგრამ დღეს ყველაზე საამაყო ამ სასწავლებლისათვის ის არის, რომ საავტომობილო ქარხნის მრავალრიცხოვანი მაღალკვალიფიციური მუშა სპეციალისტების, ქარხნის ვეტერანი მუშების უმრავლესობა სხვადასხვა დროს ამ სასწავლებელში აღიზარდა. მათი ჩამოთვლაც კი ძნელია. ძველი თაობის გვერდით, მათი დამრიგებლობით, დახმარებით და ყოველდღიური მზრუნველობით, მუშათა რიგებს ყოველწლიურად ემატება ათობით მოწინავე ახალგაზრდა, მარტო 1978 წელს წარმოებას გაეგზავნა 272, ხოლო მიმდინარე წელს სასწავლებლის კურსდამთავრებული 310 ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა.

გ. ჯიშკარიანი

ქ. ქუთაისის № 4 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

ჩემი გატაცება

1978 წელს წარმატებით დავამთავრე 85-ე საშუალო სკოლა. გადავწყვიტე სწავლა განმეგრძო თბილისის ჭ. ბენდელიანის სახელობის 38-ე ტექნიკურ სასწავლებელში, შემესწავლა პროფესია, რომელიც ბავშვობიდანვე მეტაცებდა. აქაც წარჩინებით ვსწავლობდი.

რომ ვნახე, თუ რა საინტერესო ყოფილა სახარატო ჩარხზე მუშაობა, რომელიც დიდ სიზუსტესა და მათემატიკურ გაანგარიშებას მოითხოვს... სწორედ ამის შემდეგ გადავწყვიტე შემესწავლა ხარატის სპეციალობა. ვსწავლობდი კიდეც სახარატო ჯგუფში, სადაც 25 შეგირდი იყო. ისინი ჩემსავით ხარატის სპეციალობას ეუფლებოდნენ. საწარმოო სწავლების ოსტატის ვ. ნონიაძის შეშფოთებით გავეცანით და დავეუფლეთ არჩეულ პროფესიას.

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ სპეციტექნოლოგიის, მასალათმცოდნეობის, პოლიტეკონომიისა და სხვა საგნების მასწავლებლები გ. არეგვაძე, ჯ. ფერაძე, მ. გვარიანაშვილი, ც. სულავა და სხვები, რომელთა კეთილშობილურმა დამოკიდებულებამ, კიდევ უფრო გაგვიძლიერა არჩეული პროფესიისადმი სიყვარული.

სწავლის გაგრძელებას ვაპირებ პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ლითონსაჭრელი ჩარხებისა და იარაღების სპეციალობაზე. პარალელურად ვიმუშავებ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში, სადაც შრომის მოწინავე, ახალგაზრდა მუშების მეგობარი და დამრიგებელი ტ. როსტიაშვილი მუშაობს.

ბ. შალიკაშვილი,

თბილისის ჭ. ბენდელიანის სახელობის 38-ე ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული.

ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ

მადლობა, ოსტატო!

ვიეტნამში ომი რომ დამთავრდა და ხალხი ახალი ცხოვრების შენებას შეუდგა, თვრამეტი წლის ვიყავი, სკოლას ვამთავრებდი. ჩემს წინ ბევრი არჩევანი იყო. ვღელავდი და ვფიქრობდი, რომელი გზა ამერჩია.

ვიეტნამის კომუნისტური პარტიის მოწოდებით და მექანიზაციისა და მეტალურგიის სამინისტროს წინადადებით 1976 წლის შემოდგომაზე საბჭოთა კავშირში ჩამოვედი, რათა ავტომატური და ნახევრადავტომატური სახარატო დაზგების აწყობის სპეციალობა შემესწავლა.

საბჭოთა კავშირში გატარებულმა პირველმა დღეებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. საბჭოთა ადამიანებთან შეხვედრები არასოდეს არ დამავიწყდება.

საბჭოთა კავშირის დედაქალაქში რომ ჩამოვედით, მოსკოველებმა მე და ჩემი ამხანაგები ისე გულთბილად და მხურვალედ მიგვიღეს, როგორც ახლობლებს იღებენ ხოლმე. საბჭოთა ადამიანები მეხვეოდნენ, მკოცნიდნენ. ასეთმა შეხვედრამ ადამიანური ურთიერთობა ... ეროვნული ... ენა. პირველად ... ეროვნული ... ენა. ... ...

საერთაშორისო ცხოვრება
დედამიწის ჭეშმარიტი

საბჭოების საღღეისო ამოცანები

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედების რესპუბლიკურმა კურსებმა საბოლოო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუშაკთათვის მოაწყვეს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ და ადგილობრივი საბჭოების საღღეისო ამოცანები“. მოისმინეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის გრ. აფრიდონიძის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის პროფესორ ი. სიხარულიძის, იუსტიციის მინისტრის მოადგილის შ. რატიანის მოხსენებები „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად იუსტიციის ორგანოებისა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის აქტუალურ საკითხზე.

კონფერენციამ მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები.

განიხილავენ სვანეთის პრობლემებს

მესტია. გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სვანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიისა და მესტიის რაიონის აქტივის გაერთიანებული კონფერენცია. კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ს. კარტოზიამ.

კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს რაიონის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დიდმნიშვნელოვანი პრობლემები. შემუშავებულია ღარცოფებისა და მეწყერების, სვანური დიალექტისა და ფოლკლორის თავისებურებების შესწავლის, ამ მხარის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლების დაცვის ღონისძიებანი.

კონფერენციაზე მოისმინეს სვანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის შ. ძიძიგურის, გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ბ. ბალავაძის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის თ. შარაძენიძის, არქეოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელის პროფესორ ო. ლორთქიფანიძის, მთელი რიგი სხვა მეცნიერებისა და სპეციალისტების მოხსენებები.

++

მქუხარე ტაში

ათენი, 2 აგვისტო. (საკდესის კორ.). მქუხარე ტაშით აჯილდოებენ მაყურებლები სპერძნეთში საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დასმასხურ. ლი ანსამბლის გასტროლებს.

ყოველდღიურად ათენისა და პირეას ათასობით მცხოვრები ავსებს „ვეკაიოს“ თეატრის დარბაზს, რომ გაიცნოს მდიდარ ქართულ საცეკვაო ხელოვნებას.

ქართველ მოცეკვავეებს კარგად იცნობენ ადგილობრივი მაყურებლები. უკანასკნელი 12 წლის მანძილზე ანსამბლი მეოთხედ ეწვია მათ. ამასთან ათენელთა ინტერესი სქართველოს კულტურისადმი იზრდება, ერთსულოვნად აღნიშნავენ დედაქალაქის გაზეთები.

მაყურებელთა მრავალრიცხოვანი სურვილის შესაბამისად ანსამბლის გასტროლები ერთი კვირით გახანგრძლივდა, ხოლო საბერძნეთის ტელევიზიამ მოაწყო ერთ-ერთი კონცერტის პირდაპირი გადაცემა. გადაცემის ტელეკომენტატორმა ხაზი გაუსვა, რომ „ქართველი ხალხის ლიტერატურის, მუსიკისა და ცეკვის მდიდარი ტრადიციები საყოველთაოდ ცნობილია, ხოლო ქართული ცეკვის დახვეწილ ხელოვნებას დამსახურებული წარმატება ხვდა წილად არა მარტო საბერძნეთში, არამედ მთელ მსოფლიოში“.

გასტროლების დასკვნით დღეებში ანსამბლის კოლექტივმა ადგილობრივი მაყურებლები გააცარა სიამოვნებით. ანსამბლმა ბერძენი ხალხის, მისი ხელოვნების პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად ცნობილი ბერძენი კომპოზიტორის მიკის თეოდორაკისის მუსიკაზე მოამზადა ბერძნული ცეკვა „სირტაკი“.

ე. პეტროვი.

ავღანელი ხალხის დიდი გამარჯვება

ქაბული. (საკდესი). „მიწის რეფორმის პირველი ეტაპის დამთავრება უდიდესი გამარჯვებაა, რომელიც მიღწეულია ავღანეთის პარტიის, მთავრობის, მთელი ავღანელი ხალხის გაერთიანებული მეცადინეობით“, განაცხადა ქვეყნის აგრარული რეფორმის სამმართველოს მუშაკთა წინაშე გამოსვლისას ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ნ. მ. თარაკიმ.

ამ უმნიშვნელოვანესმა ღონისძიებამ, თქვა მან, გამანადგურებელი ლაბვარი ჩასცა ფეოდალურ ურთიერთობას, მოსპო საუკუნოვანი უსამართლობა, ქვეყნის ისტორიაში პირველად მიწა მიიღეს იმათ, ვინც მათ ამუშავებს, გლეხებს პირველად აქვთ შესაძლებლობა სრულად ისარგებლონ თავისი ძნელი შრომის ნაყოფით და მოსავლის მეტი ნაწილი არ მისცენ ფეოდალებსა და მევახშეებს.

ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ რეფორმის პირველი ეტაპის განხორციელება შესაძლებელი გახდა პარტიის თანამიმდევრული პოლიტიკისა და ქვეყნის მთელი მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერის მეოხებით, აგრეთვე აგრარული რეფორმის სამმართველოს მუშაკთა და მათი ადგილობრივი წარმომადგენლების თავდადებული შრომით.

ყოფილი ფეოდალები, ექსპლოატატორები, თქვა შემდეგ ნ. მ. თარაკიმ, ახლა უტევენ ავღანეთსა და მის სახალხო ხელისუფლებას, ეს გასაკვირიც არ არის, რადგან ისინი ვერ შეგიგებიან პრივილეგიისა და სიმდიდრის დაკარგვას, რომელიც წინათ ჰქონდათ. მაგრამ, განაცხადა ნ. მ. თარაკიმ, გლეხები და მუშები, რომლებმაც გიგეს, რა არის ნამდვილი თავისუფლება და თანასწორუფლებიანობა, ბოლომდე დაიცავენ აპრილის რევოლუციის მონაპოვრებს, რომელიც დაადგა ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან თავისუფალი საზოგადოების აშენების კურსს.

დროა დაადასტურა

ბუდაპეშტი, 2 აგვისტო. (საკდესი). ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ჰელსინკში საბოლოო აქტის ხელმოწერის დღიდან განვლილმა პერიოდმა დაადასტურა მშვიდობიანი თანაარსებობისა და დაძაბულობის პოლიტიკის ისტორიული სისწორე, აღნიშნულია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის უნგრეთის ეროვნული კომიტეტის პრეზიდიუმისა და სრულიად უნგრეთის მშვიდობის საბჭოს პრეზიდიუმის აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების თანამიმდევრული და პრინციპული პოლიტიკის მეოხებით პოლიტიკური ვითარება ევროპაში — რეაქციის ძალების აქტივიზაციის მიუხედავად — ახლა უფრო სასიკეთოა, ვიდრე ოდესმე. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მიერ შემოტანილი წინადადებანი კონსტრუქციულად ხელს უწყობენ საბოლოო აქტის უმნიშვნელოვანესი მიზნების მიღწევას.

განცხადებაში აღნიშნულია, თუ რა მნიშვნელობა აქვს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულებას, რომელიც საბჭოთა კავშირ-ამერიკამ დადეს, და აღნიშნულია, რომ საჭიროა ბრძოლა ყოველგვარი ცდების წინააღმდეგ დაატორპედონ ხელშეკრულება, შეიმუშაონ მასობრივი მოსპობის ახალ სახეობათა იარაღი.

უმუშევარი ავტომობილისშემნებლები

ნიუ-იორკი, 2 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების საავტომობილო მშენებლობის მრეწველობაში გრძელდება მასობრივი დათხოვნები. კომპანია „ჯენერალ მოტორსის“ ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ აღარ სჭირდება ოჰაიოს შტატის ქალაქ დეიტონის საწარმოში კიდევ 675 მუშის მომსახურება.

სტანდარტული ბრალდებით

ბეირუთი, 2 აგვისტო. (საკდესი). ისრაელის ხელისუფალნი ამკაცრებენ რეპრესიების კამპანიას ოკუპირებულ ტერიტორიებზე არაბი მოსახლეობის წინააღმდეგ. მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირიდან მიღებული ცნობების თანახმად, ქალაქ ნაბლუსის სამხედრო სასამართლომ სამი წლის პატიმრობა მიუსაჯა კიდევ სამ პალესტინელს, რომლებსაც წაუყენეს სტანდარტული ბრალდება — პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობა.

ტერორისტების მიმით...

მადრიდი, 2 აგვისტო. (საკდესი). ექსტრემისტთა განუწყვეტელმა მუქარამ ახალი ტერორისტული აქტების ჩადენის შესახებ აიძულა მადრიდის ხელისუფალნი ასობით მოსამსახურე გაეხიზნათ მთავრობის ზოგიერთი დაწესებულების შენობიდან და შეეწყვიტათ ესპანეთის დედაქალაქის მეტროში მატარებლების მიმოსვლა.

სერიოზულად დაირღვა საერთაშორისო ავიახაზებზე ფრენის გრაფიკი დედაქალაქის ბარახასის აეროპორტში, რომლის შესასვლელთან მასობრივი საპროტესტო მანიფესტაცია გაიმართა ექსტრემისტთა მოქმედების წინააღმდეგ. დემონსტრანტებს მიჰქონდათ ლოზუნგები „მხარს ვუჭერთ დემოკრატიას, არ გვინდა ტერორიზმი!“.

ფოტოექრანი

იტალიაში სულ უფრო მძაფრდება ხალხის რისხვა და აღშფოთება ნეოფაშისტური ბანდების განუწყვეტელი თარეშის გამო. მთელ ქვეყანაში გაიმართა მასობრივი ანტიფაშისტური დემონსტრაციები და მიტინგები, რომელთა მონაწილენი მოითხოვდნენ, ბოლო მოეღოს მემარჯვენე ექსტრემისტების ტერორსა და პროვოკაციებს.

სურათზე: მასობრივი ანტიფაშისტური დემონსტრაცია რომში.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ხალხის რისხვა, სოლიდარობა!

ლონდონი. აქ გაიმართა ზიმბაბვეს ხალხთან სოლიდარობის მრავალათასიანი დემონსტრაცია. „თავისუფლება ზიმბაბვეს“, „ამერიკის შეერთებულო შტატებო და ინგლისო — ხელები შორს ზიმბაბვესაგან!“ — ასეთი ლოზუნგებით ჩაიარეს დემონსტრაციის მონაწილეებმა ლონდონის ქუჩებში (სურათზე) ტრაფალგარის მოედნისაკენ, სადაც გაიმართა მასობრივი მიტინგი აპარტეიდის პოლიტიკის წინააღმდეგ.

დემონსტრანტებმა დაგმეს

ლუსაკა, 2 აგვისტო. (საკდესი). ზიმბაბვეს პატრიოტული ფრონტის მომხრეთა დემონსტრაცია გაიმართა აქ, შენობის წინ, რომელშიც გუშინ გაიხსნა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კონფერენცია. დემონსტრაციის მონაწილეებს მიჰქონდათ პლაკატები, რომლებითაც გმობდნენ ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების გეგმებს ცნონ მუზორევა-სმიტის მარიონეტული რეჟიმი და ხელი აიღონ როდეზიის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებზე.

დემონსტრანტებმა დაგმეს მფარველობის პოლიტიკა, რომელსაც დასავლეთის სახელმწიფოები ახორციელებენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აპარტეიდის რეჟიმის მიმართ.

უკვე მეოთხედ

თანამგზავრის გაშვება მარცხით დამთავრდა

ნიუ-იორკი, 2 აგვისტო. (საკდესი). როგორც ადგილობრივი დაკვირვების სადგურები იუწყებიან, ჩინეთში გუშვიათ მატარებელი რაკეტა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანის მიზნით. მატარებელი რაკეტის უწესივრობის გამო თანამგზავრი ორბიტაზე ვერ გასულა და მისი ნამსხვრევები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაცემულა.

ეს უკვე მეოთხედ მოხდა, რომ ჩინეთში მარცხით დამთავრდა თანამგზავრის გაშვების ცდა.

მტკიცე პროტესტი

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა

ჰანოი, 2 აგვისტო. (საკდესი). უკანასკნელი დღეების მანძილზე ჩინეთი განუწყვეტლივ მიმართავდა შეიარაღებულ პროვოკაციებს ვიეტნამის საზღვარზე, რამაც მეტად გაამწვავა დაძაბულობა სასაზღვრო რაიონებში, ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაში, რომელიც ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა. განსაკუთრებით სერიოზული იყო, აღნიშნულია დოკუმენტში, ჩინეთის ჯარების პროვოკაციული მოქმედება ჰატუენის პროვინციის მთელ რიგ რაიონებში. ამას მოჰყვა მრავალი მსხვერპლი მოსახლეობაში, არის მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი.

14 ივლისს, აღნიშნულია ნოტაში, ჩინელ ჯარისკაცთა ჯგუფი თავს დაესხა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების ქვეგანაყოფს თხიონგფუნგის თემში (ჰატუენის პროვინცია) საზღვრიდან ორ კილომეტრზე. 21 ივლისს ჩინელთა ოცეული თავს დაესხა ამაე თემს.

28 ივლისს დილით ჩინეთის არტილერიამ თხიონგფუნგის თემს 82 მილიმეტრი კალიბრისა და 120 მილიმეტრი კალიბრის რამდენიმე ასეული ნაღმი დაჭრა. ბევრი ადამიანი, მოსპეს ნათესები, დახოცეს რამდენიმე მცხოვრები და სასაზღვრო დაცვის მებრძოლი.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაში გამოთქმულია მტკიცე პროტესტი ჩინეთის მმართველი წრეების ახალი დანაშაულებრივი მოქმედების წინააღმდეგ. იგი შეიცავს მოთხოვნას, რომ ჩინეთმა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს საშიში სამხედრო პროვოკაციები, აგრეთვე სხვა მტრული აქციები ვიეტნამის წინააღმდეგ.

ჩინეთის მმართველმა წრეებმა მთლიანად უნდა აგონ პასუხი თავიანთი დანაშაულებრივი მოქმედების ყველა სერიოზული შედეგისათვის, ხაზგასმულია ნოტაში.

მოკლედ ყოველი მხრიდან

2 აგვისტო

ბრიუსელი. ქვეყნის პოლიტიკურმა ძალებმა და პროფკავშირებმა მკაცრად გააკრიტიკეს ბელგიის მთავრობის მიერ მოწონებული 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელიც ახალი გადასახადების შემოღებასა და ფასების მომატებას ითვალისწინებს.

„მშრომელთა სოციალურ მოსაპოვრებზე შეტევა“ უწოდა ბიუჯეტის პროექტს ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ.

ბაღდადი. ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი მშვიდობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან ისრაელის ჯარების მთლიანი გაყვანისა და იერუსალიმის არაბული ნაწილის დაბრუნების საფუძველზე, განაცხადა ირაკიანის მეფემ ჰუსეინმა ბაღდადის ყოველკვირეული გაზეთის „ალიფ ბასათვის“ მიცემულ ინტერვიუში.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ირაკიანის ეს პოზიცია უცვლელი დარჩება მტრული ძალების ხრიკების მიუხედავად.

ნიუ-იორკი. მინეაპოლისში (მინესოტის შტატი) გამართულ სხდომაზე „სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის საბანკო სესხის საწინააღმდეგო კაშპანიის“ ეროვნულმა საკოორდინაციო კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნია გააძლიერონ ბრძოლა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აპარტეიდის რეჟიმისადმი შეერთებული შტატების ფინანსური მხარდაჭერის წინააღმდეგ.

სხდომის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ინდივიდუალური და კოლექტიური ანაბრების გამოტანას იმ ბანკებიდან, რომლებიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან თანამშრომლობენ.

ლუანდა. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტმა ხელისუფლებმა ფაშისტური ორგანიზაციის „ბროდერბონდის“ მეთაური ჰერიტ ვილჯოინი დანიშნეს უკანონოდ ოკუპირებული ნამიბიის გენერალურ ადმინისტრატორად.

სინგაპური. მანილიდან მიღებული ცნობების თანახმად ფილიპინებში საშუალოდ მესამედით და მეტად გაძვირდა ნავთობპროდუქტები. მთავრობის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამ ღონისძიების ძირითადი მიზანია — ახალი ენერგეტიკული წყაროების აითვისების სამუშაოთა დამატებითი დაფინანსება. უფრო ადრე, მომდინარე წლის მარტში, ფილიპინებში ნავთობპროდუქტები 24 პროცენტით გაძვირდა. (საკდესი).

საბაჭოეთიდან

ნამდვილი დანაშაული

ჰანოი, 1 აგვისტო. (საკდესი). ატარებენ რა ანტივიეტნამურ პოლიტიკას, ჩინეთის ხელისუფალნი უკვე დიდიხანია იყენებენ თავიანთ აგენტებს, რათა ვიეტნამში მცხოვრები ჩინური წარმოშობის პირნი შეაგულიანონ ქვეყნიდან უკანონო გამგზავრებისათვის, წერს ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო. ერთი მათგანი, როგორც სააგენტო იუწყება, ვინმე ვეი ჯენი ყოფილა. ჩინეთში მიღებული ყალბი დოკუმენტებით, რომელშიც ჩან ვანმინად იყო ჩაწერილი, იგი გასული წლის ივნისში ჩინეთ-ვიეტნამის საზღვარს გადავიდა დავალებით „გაქცია ვიეტნამიდან რაც შეიძლება მეტი ჩინური წარმოშობის ვიეტნამელი“.

ხუშმინში რომ ჩავიდა, ვეი ჯენმა კავშირი დაამყარა ამ ქალაქის ჩინელ აგენტებთან, რათა გაექცია ჩინური წარმოშობის პირნი და ხუაციაოები, მაგრამ გასული წლის სექტემბერში წასასწრეს, როცა დავალებულ საჯაშუშო დავალებას ასრულებდა, და დაიჭიროს.

აღვივებს რა ანტივიეტნამურ კამპანიას, წერს „კუან დონი ნიან ზანი“, პეკინი ამავე დროს ცდილობს უზრუნველყოს სულ უფრო მეტი „ჩინური წარმოშობის პირთა“ შეღწევა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებში თავისი ექსპანსიონისტური მიზნების განსახორციელებლად. სწორედ ამიტომ იყო და არის ჩინეთი თავისი პოლიტიკით აღამიანთა უფლებებზე დიდი ექსპორტიორი და სწორედ ეს წარმოადგენს ნამდვილ საფრთხეს.

დელი, 1 აგვისტო. (საკდესი). „ლტოლვილთა პრობლემა“ შექმნეს ჩინეთის ექსპანსიონიზმმა და ამერიკის იმპერიალიზმმა, რათა გათოთხონ ვიეტნამი, გარიყონ იგი მეზობელი სახელმწიფოებისაგან, წერს ჟურნალში „ახალ ენდ სოლიდერიტი“ ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს წევრი ს. მუკერჯი. ჩინეთი და ამერიკის შეერთებული შტატები, აღნიშნავს იგი, ისწრაფვიან რაც შეიძლება გაამძაფრონ ვითარება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, შექმნან ამ რეგიონის ქვეყნებში უნდობლობის ატმოსფერო, დააბრკოლონ რევოლუციური გარდაქმნების განხორციელება ვიეტნამში, ლაოსსა და კამბოჯაში.

პეკინელი ხელისუფალნი, აცხადებს ბიულეტენი „ფორინ ნიუს ენდ ფიჩურსი“, ყოველნაირად ცდილობენ მიჩქმალონ ის ფაქტი, რომ სწორედ ჩინეთიდან ლტოლვილთა მასობრივი გაქცევა გახდა ის ფაქტი, რომ მთავარი მიზეზი ყოფილიყო „ლტოლვილთა პრობლემის“ წარმოშობისა. ჩინელმა ემიგრანტებმა პირდაპირ გაავსეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები. 1979 წლის ივლისისათვის, ნათქვამია ბიულეტენში, ტაილანდში ჩავიდა 200 ათასი ჩინელი ლტოლვილი, მალაზიაში — 76 ათასი და ინდონეზიაში — 42 ათასი.

უხეშად ინდოეთის საქმეებში

დელი, 2 აგვისტო. (საკდესი). ინდოეთის არმია, პოლიცია და უშიშროების ძალები განაგრძობენ ოპერაციებს მოკავშირე მიზორამის ტერიტორიაზე. უკანასკნელ ხანს მკვეთრად გააქტიურდნენ ეგრეთ წოდებული მიზოს ეროვნული ფრონტის სეპარატისტები. როგორც ტრასტ ოფ ინდიას პრესის სააგენტო იუწყება, მოკავშირე ტერიტორიის ადმინისტრაციული ცენტრის ქალაქ აინალის მიდამოებში გაანადგურეს მეამბოხეთა ერთ-ერთი აქტიური ჯგუფი, რომელიც მონაწილეობდა ანჯალის რადიოსადგურსა და პოლიციელთა ყაზარმებზე ამასწინანდელ თავდასხმებში. დაპატიმრებულია ექვსი კაცი, ხელთ იგდეს ამერიკული და ჩინური წარმოების დიდძალი იარაღი, პროპაგანდისტული მასალები.

ხელისუფალთა ხელში ჩაგდებული დოკუმენტებიდან ცნობილი გახდა, რომ 15 აგვისტოს, როცა ინდოეთში აღინიშნება დამოუკიდებლობის დღე, არალეგალურმა „ფრონტმა“ გადაწყვიტა მოეტაცა და მოეკლა მიზორამის

ერევიან საქმეებში

მთავრობის მთავარი მინისტრი და მოკავშირე ტერიტორიის ადმინისტრაციის მთელი რიგი სხვა მაღალი თანამდებობის წარმომადგენლები.

ძნელი არ არის მიხვედრა, თუ ვისი ინტერესებისათვის მოქმედებენ ბანდიტები, ვინ უმაგრებს მათ ზურგს. დაპატიმრებულთ ჩამოართვეს ფოტოსურათები, რომლებზეც ტერორისტები აღბეჭდილია თავიანთ დამრიგებლებთან — ჩინელ ინსტრუქტორებთან ერთად წვრთნის დროს. ამის შედეგად, აღნიშნავს პრესა, მიღებულია კიდევ ერთი დამადასტურებელი საბუთი, რომელიც მოწმობს, თუ რა არასასურველ როლს ასრულებს პეკინი, როგორ უხეშად ერევა მეზობელ სახელმწიფოთა საქმეებში, მხარს უჭერს ძირგამომთხრელ ელემენტებს, რომელთა მიზანია მოახდინონ ვითარების დესტაბილიზაცია ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში და საბოლოო ანგარიშით ეს ქვეყანა მოსწყვიტონ მიზორამს, ნაგალენდსა და სხვა ტერიტორიებს.

ამწვავებენ დაძაბულობას

ჰანოი, 2 აგვისტო (საკდესი). ჩინელი ექსპანსიონისტები მთლიანად აგებენ პასუხს ვიეტნამის საზღვარზე შეიარაღებული პროვოკაციებისათვის, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მიმართ სამხედრო მუქარისა და ცილისმწამებლური კამპანიისათვის, წერს გაზეთი „ნიან ზანი“.

თავის კომენტარში იგი ამბლებს ჩინეთის მხარის არაკონსტრუქციულ პოზიციას პეკინის მოლაპარაკებაზე. ჩინეთის მხარე ცდილობს ვიეტნამ-ჩინეთის მოლაპარაკება მოაქციოს ჩიხში, ამავე დროს აძლიერებს დაძაბულობას სასაზღვრო რაიონებში. ამის დადასტურებაა განუწყვეტელი პროვოკაციული მოქმედება ვიეტნამის მთელ რიგ ჩრდილოეთის პროვინციებში.

ინდოჩინეთში მშვიდობის საქმეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის, წერს იგივეთვე გაზეთი, პეკინის აშკარა დაზმარება ლაოსელ

რომ გაამართლონ და დაამტკიცონ...

ვაშინგტონი, 2 აგვისტო. (საკდესი). სენატის კომისიებში სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ეტაპის ხელშეკრულების განხილვა მოწმობს, რომ ზოგიერთი სენატორი და სამხედრო წრეების წარმომადგენელი ცდილობს მოსმენათა მთელი მსვლელობა ისეთნაირად შემოაბრუნოს, რომ გაამართლოს და დაამტკიცოს კიდეც — სამხედრო ხარჯების შემდგომი ზრდა სავალდებულოაო.

მაგალითად, სენატორმა ს. ნანმა განაცხადა, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ეტაპის ხელშეკრულებას მხოლოდ იმ პირობით დაუუჭერო მხარს, თუ ადმინისტრაცია სამხედრო ბიუჯეტს წელიწადში 4-5 პროცენტით გაზრდისო.

ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ყოფილმა უმაღლესმა მთავარსარდალმა, გადამდგარმა გენერალმა ა. ჰეიგმა სენატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიაში გამოსვლის დროს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მოუწოდა იკისროს შეიარაღების ახალ სისტემათა შექმნისა და ნატოს განმტკიცების ვალდებულებანი, რისთვისაც, როგორც მან თქვა, საჭიროა გაიზარდოს სამხედრო ასიგნებანი მინიმუმ 7 მილიარდი დოლარით წელიწადში.

ამასთან დაკავშირებით პოლიტიკური მიმომხილველები ყურადღებას მიაპყრობენ პრეზიდენტ ჯ. კარტერის გამონათქვამს, რომელმაც განაცხადა: „არ დავთანხმები საჭიროზე მეტი სამხედრო ხარჯების „არსებით გაზრდას“ მხოლოდ იმისათვის, რომ მივიღო ხმები სენატში“.

ეუბრუნდებით დაგეჭდილს

გმირის სახელი ცნობილია

გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 9 მაისის ნომერში გამოქვეყნებული იყო ბ. ჩიკვაიძის წერილი სათაურით: „ვინ იცნობდა ლეიტენანტ ფერაშვილს?“.

რამდენიმეჯერ ყურადღებით წავიკითხე ეს წერილი. აქ აღწერილი გმირობა მეცნო და ჩემს პირად არქივს გადავხედე.

წერილში მოხსენებულ ფონოჩარაწერში მფრინავის გვარი აშკარად დამახინჯებულია. ჩანაწერში გადმოცემული გმირობა ეკუთვნის არა ლეიტენანტ ფერაშვილს (ან ბერაშვილს, როგორც წერილის ავტორი ფიქრობს), არამედ უმცროს ლეიტენანტ ივანე სოლომონის ძე ბერიშვილს.

1966 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში „ისტორია სსსრ“ (№ 4) დაბეჭდა ვ. ნ. გაპონოვის და ა. დ. ზაიცევის სტატია „საჰაერო ტარანის გმირები“. ამ სტატიაში ანბანით ჩამოწერილია 210 მფრინავის სია, რომელთაც დიდი სამამული ომის წლებში განსაზრვიელეს საჰაერო ტარანი. 147-ე გვერდზე ვკითხულობთ: „უმცროსი ლეიტენანტი ი. ს. ბერიშვილი — 1941 წლის 15 სექტემბერს ოდესის მისადგომებთან საჰაერო ბრძოლისას გატარნა მოწინააღმდეგის ავიაგამანადგურებელი, რომელსაც იერიში მიჰქონდა ესკადრილიის მეთაურზე. ტარანის შედეგად უმშარმა მფრინავმა იხსნა მეთაურის სიცოცხლე, თვითონ კი დაიღუპა. კომკავშირელი, შავი ზღვის სამხედრო-საჰაერო ძალების მე-8 საავიაციო პოლკის პილოტი“.

შეიძლება მკითხველს ეკვი შეეპაროს, რომ ბ. ჩიკვაიძის საგაზეთო წერილში მოხსენებულია მეექვსე გვარდიული ავიაპოლკი და მისი კომისარი შევჩენკო, ხოლო ჩვენს მიერ ციტირებულ დოკუმენტში კი მე-8 საავიაციო პოლკის მფრინავად არის დასახელებული უმცროსი ლეიტენანტი ი. ბერიშვილი. საქმე ის გახლავთ, რომ მერვე საავიაციო პოლკს სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის საბჭოთა შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის ბრძანებით შემდგომში მიეკუთვნა მე-6 გვარდიული გამანადგურებელი საავიაციო პოლკის სახელი. ომის დასასრულს პოლკი იწოდებოდა მე-6 გვარდიული ორგზის წითელდროშოვან სევასტოპოლის გამანადგურებელ საავიაციო პოლკად.

უმცროს ლეიტენანტ ი. ს. ბერიშვილის გმირობა აღწერილია გაზეთ „კრასნი ფლოტში“ (1942 წ. 27 მარტი), შავი ზღვის ფლოტის სამხედრო-საჰაერო ძალების პოლიტგანყოფილების მიერ 1959 წელს გამოშვებულ წიგნში „შავზღველი მფრინავები სამშობლოსათვის ბრძოლებში“, ჩვენი თანამემამულის გმირობის დამადასტურებელი დოკუმენტი დაცულია სსრ კავშირის ცენტრალურ სამხედრო-საზღვაო არქივში.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პ. ნ. ივანოვი თავის წიგნში „ფრთები ზღვის თავზე“ წერს:... „19 აგვისტოს საზღვაო ავიაგამანადგურებლებს სასტიკი ბრძოლები ჰქონდათ მოწინააღმდეგის ავიაგამანადგურებლების და ბომბდამშენი თვითმფრინავების დიდ ჯგუფთან, რომლებიც ოდესის დასაბომბად მიემართებოდნენ. ამ ბრძოლისას ესკადრილიის მეთაურმა კაპიტანმა ფ. ი. დემჩენკომ და უფროსმა ლეიტენანტმა ვ. ნ. ვალცეფერმა მტრის თითო „მე-109“ თვითმფრინავი ჩამოაგდეს. მესამე თვითმფრინავი ტარანით ჩამოაგდო უმცროსმა ლეიტენანტმა ი. ს. ბერიშვილმა. ახალგაზრდა მფრინავმა თავისი მანქანა წარმართა მტრის გამანადგურებლისაკენ, რომელსაც კაპიტან დემჩენკოს თვითმფრინავი მიზანში ჰყავდა ამოღებული. საბჭოთა თვითმფრინავი ფაშისტთა მანქანას შეეხეთქა და ორივე ძირს ზღვისკენ წავიდა. ი. ბერიშვილმა თავისი სიცოცხლის ფასად იხსნა მეთაურის სიცოცხლე. ივანე სოლომონის ძე ბერიშვილი თავგანწირვისა და ვაჟკაცობის გამოჩენისათვის სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა სამამულო ომის I ხარისხის ორდენით“.

ივანე ბერიშვილის გმირობა ერთგან (ვ. ი. გაპონოვის და ზაიცევის სტატიაში) დათარიღებულია 1941 წლის 15 სექტემბრით, ხოლო პ. ნ. ივანოვის წიგნში 19 აგვისტოთი.

როგორც ცნობილია, ოდესის შორეულ მისადგომებთან ბრძოლები დაიწყო 1941 წლის 10 აგვისტოს. უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის 1941 წლის 19 აგვისტოს დირექტივით შეიქმნა ოდესის თავდაცვითი რაიონი. ამავე დირექტივის საფუძველზე სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარმა, ადმირალმა ნ. გ. კუზნეცოვმა ოდესის დასაცავად გამოყო ავიაჯგუფი, რომელშიაც შედიოდა მე-8 გამანადგურებელი ავიაპოლკის ერთი ესკადრილია („ი-16“ ტიპის 22 თვითმფრინავი). სავარაუდოა, რომ კაპიტან ფ. დემჩენკოს ესკადრილია, რომელშიაც მსახურობდა მფრინავი ივანე ბერიშვილი, 1941 წლის 19 აგვისტოს დირექტივის შემდეგ ჩაებმებოდა ბრძოლაში. ამის დასადასტურებლად გვაქვს კიდევ ერთი წყარო — გ. ი. ვანეევის ნაშრომი — „შავზღველები

მკითხველი განაგრძობს საუბარს წერილის—«დიდი ტრაპეზის» გამო

ხალხი გმობს სტუმართმოყვარეობის ტრადიციის გამყალბებლებსა და გამაუკუღმართებლებს

მწარეა, მაგრამ სიმართლეა!..

აქტიური, შემტევი, ჭეშმარიტად მოქალაქეობრივი პოზიცია დაიკავა ჩვენმა მკითხველმა პეტრა მიხაელის წერილის განხილვის დროს, წერილისა, რომელსაც „დიდი ტრაპეზი“ ერქვა და ჩვენმა გაზეთმა დასავლეთგერმანული „საარბრუკერ ცაიტუნგიდან“ 20 ივნისს გადმობეჭდა. მკითხველი ალბათ მიხვდა, რომ ლაპარაკია ავტორზე, რომელიც ტურისტად იყო საქართველოში და კრიტიკის სამიზნედ გაყალბებული სტუმარმოყვარეობის ფაქტები გაიხადა.

ბევრმა ჩვენმა მკითხველმა გამოთქვა თავისი აზრი ამ პუბლიკაციის გამო და ზოგიერთ მათგანს დღეს ვუთმობთ ადგილს გაზეთის ამ გვერდზე.

ჩვენს მკითხველებთან საუბრისას მაშინ ჯერ კიდევ მთლიანად შეიძლება არც ვიყავით დარწმუნებული, რომ ყველა სწორად გაგვიგებდა, მაგრამ, ჩვენდა სიბედნიეროდ, კორესპონდენტებმა თავიანთ მრავალრიცხოვან წერილებში მთლიანად გაგვიქარწყლეს ეს მცირედი ეჭვი და ერთხულოვნად დაგვიდასტურეს, რომ სარკეში ჩახედვა მართლაც გვჭირდება ერსაც და ბერსაც, მთელ საზოგადოებასაც და მის თითოეულ წევრსაც, რომ ალბათ ზოგჯერ შეეგრთებით, იქნებ გულიც დაგვეწეროს, მაგრამ რას ვიზამთ, არ არსებობს სხვა გზა ნაკლთან შებმის, მისი გამომზეურების, საჯაროდ გამოტანის გარდა.

„ცხელი შთაბეჭდილებით გწერთ ამ ბარათს, — მოგვმართავს ერთი უცნობი ავტორი, — და მაპატიეთ, თუ ცოტა პათეტიკური გამომივა, მაგრამ მინდა მადლობა გითხრათ ამ წერილის დაბეჭდვისათვის. „დიდი ტრაპეზის“ დამწერმა ისეთი რამ შემოგვთავაზა, რაც დიდი ხანია გვჭირდება. რომ იტყვიან, ასე მოგვიხდება, ახია ჩვენზე! იქნებ აწი მაინც ვისწავლოთ ჭკუა ზოგ-ზოგებმა და მოვიშვათ მეტიჩრობას, უშნო ამპარტავნობას, ტრაბახს...“

ფოსტაში ბევრი წერილები, რომელთა ავტორები ერთხულოვნად სვამენ ისეთ პრობლემას, როგორიც არის საზღვარგარეთიდან ჩამოსული სტუმრების დამხვედრი სამსახურის მუშაკთა მომზადება, მათი პასუხისმგებლობის გაძლიერება. სწორედ ისინი უნდა აძლევდნენ მაგალითს და რეკომენდაციებსაც კი იმათ, ვინც სტუმრებს ხვდება და მასპინძლობს.

ამ საკითხს ვრცელ ადგილს უთმობს თავის წერილში ჩვენი ცნობილი მეცნიერი, პროფესორი ნოდარ კაკაბაძე. აუცილებელია, — აღნიშნავს იგი, — დიდი ყურადღება მივაქციოთ სტუმრების დამხვედრი სამსახურების მუშაკთა, გიდთა, მთარგმნელთა სპეციალურ სწავლებას, აღზრდას, გაწვრთნას (ნუ მოვერიდებით ამ სიტყვებს), რომ თავიდან ავიცილოთ მთელი რიგი უხერხულობანი, რომელშიც მათი მეოხებით ხშირად აღმოვჩნდებით ხოლმე. მაგალითად, დასავლეთში გამოდის წიგნები, რომლებშიც მცდარად არის ასახული ჩვენი ყოფა-ცხოვრება. და ეს დასკვნები ზოგჯერ ამ სამსახურის მუშაკთა მიერ გადაცემულ ინფორმაციას ემყარება.

„ვინ გზავნის ისეთი „ჭირვეული“ სტუმრების შესახვედრად ისეთ „შოთას“, რომელიც აუკუღმართებს ქართულ ტრადიციას, არ იცავს ეთიკის ელემენტარულ ნორმებს. შორიდან ჩამოსულ სტუმარს ტანსაცმლის გამოცვლის საშუალებას არ აძლევს, აეროპორტიდან პირდაპირ რესტორანში მიჰყავს და 4-5 საათის განმავლობაში ქართული სტუმართმოყვარეობის ტრადიციის წინააღმდეგ განაწყობს?!“ — კითხულობს გორის „ავტომატმრეწვის“ ინსტიტუტის თანამშრომელი რიმა ხუციშვილი, და იქვე აღშფოთებით წერს: „არ იკითხავთ, სად მიაღწია ჩვენი სტუმარმასპინძლობის გაუკუღმართებამ კულმინაციას? ჩვენი ხელოვნების ერთ-ერთ მუშაკს გაკრიალებულ ბინაში... სწორედ ამ მასპინძლებს უნდა ვასწავლოთ ზომიერების გრძნობა, რომ შემდგეში მაინც მივცეთ ჩამოსულ სტუმრებს ჩვენი მხარის სწორედ გაცნობისა და დათვალიერების საშუალება“.

იგივე ავტორი თავის ვრცელ წერილში და სხვა მკითხველებიც კატეგორიულად მოითხოვენ ამ მხრივ წესრიგის დამყარებას იმ სამსახურებში, რომლებსაც საზღვარგარეთიდან ჩამოსული სტუმრების მასპინძლობა ავალიათ. ზოგი, მაგალითად, ფიქრობს, რომ „ალბათ წინა წლებში გამეფებულმა უყონტროლობის ატმოსფერომ ხელი შეუწყო ამ ორგანიზაციებში „კუჭის“ და არა „გონების“ ნიშნით პატივცემული ზოგიერთი ადამიანის მოხვედრას და ამ ზოგიერთებს მეტიც არ მოეთხოვებათ, თორემ ნამდვილ მამულიშვილს, გლეხი იქნება ის, მუშა თუ აკადემიკოსი, არასოდეს არ უღალატებს ზომიერების გრძნობა“.

ბევრი ჩვენი მკითხველი, „დიდ ტრაპეზში“ აღნიშნულ ფაქტებზე რომ მსჯელობს, ეძებს ამ ფაქტების გამომწვევ მიზეზებს და უმეტესობა იმ დასკვნამდე მიდის, რომ ჩვენს საწარმოებსა და ორგანიზაციებში, დაწესებულებებში ჯერჯერობით სათანადო დონეზე ვერ დგას პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. მაგალითად, დაბა ორჯონიკიძიდან სამამულო ომის ვეტერანი ანანია ტაბატაძე გვწერს, რომ „უკანასკნელ ხანს ბევრი შესანიშნავი დოკუმენტი გამოქვეყნდა ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრის დაჩქარებისათვის, თუნდაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება მავნე წეს-ჩვეულებებისა და დრომოჭმული ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ბევრი კარგი აღმზრდელობითი ხასიათის წერილი, სტატია, ლექსი გამოქვეყნდა ჩვენს პრესაში, რამდენიმე წიგნიც მიიღო მკითხველმა, მაგრამ როგორია მათი ქმედითობა? ხდება თუ არა ისინი მსჯელობის საგანი ადგილებზე, უწევენ თუ არა მათ პროპაგანდას, რომ რაც შეიძლება მეტი ეფექტი მოჰყვეს? სამწუხაროდ, არა“, — დაასკვნის ავტორი.

იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებას, აგიტაციისა და პროპაგანდის შემტევი ხასიათის დამკვიდრების აუცილებლობას სხვა ბევრი ავტორიც აღნიშნავს. მათი საერთო აზრია, რომ იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა და ამ საქმეში უნარიანად უნდა გამოვიყენოთ აგრეთვე პრესაში გამოქვეყნებული მასალებიც, და ისეთიც, როგორიც, მაგალითად, „დიდი ტრაპეზი“ იყო.

ზომიერება ყველგან და ყველაფერში: ქცევაში, სმაშიც და ჭამაშიც... ასეთია ამ წერილების დედაარსი.

მადლობა მკითხველებს, რომ ასე აქტიურად გამოგვეხმაურნენ და თავიანთი პოზიცია გამოხატეს. ულმობელი ბრძოლა მავნე წეს-ჩვეულებების, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ კვლავ გრძელდება. და გვწამს, რომ გაზეთი და მკითხველი ხელიხელჩაკიდებული ივლიან ამ სასიკეთო ბრძოლის გზაზე.

ჭკვილი

ანუ ალიმური, რომელმაც ლოყა გაგვიფიცხა, მაგრამ თვალი აგვიხილა

დიდი ხანი არ არის, რაც ერთმა გერმანელმა გაზეთმა ქვეყანას ამცნო, რომ საქართველოში სტუმრობა მარტო ფიროზისთვლებიანი ზღვის ნახვა და მთა-ველზე დაღვრილი ზურმუხტი კი არა, დამძიმებული სხეულის ხანგრძლივი მარტვილობაც ყოფილა... თვალი მეც ბაღლით ამეკლო ამ სტატიის კითხვისას. რომელიც გაზეთმა „კომუნისტმა“ დაბეჭდა და წინ სარკედ დაგვიდგა. ჭარბი და არსთქმელი აქაც ბევრია, მაგრამ ეს კი არის — სუფრაზე მართლაც „მოაზროვნე კუჭის“ იმდენ გამონაგონს დავახვევებთ, საკმელ-ნუგბარის ისეთ ბულულებს დავდგამთ, რომ უცხოს დევების ქორწილი ეგონება. მერე წავა და ოკეანის გაღმიდან მოქნეული წიხლი ოკეანის გამოლა გვხვედება. და ეს უკვე მერამდენედ...

მწარე სიმართლე მართლაც არის ამ წერილში. მოდი და გაუძელი, როცა ჩვენს სუფრაზე სიმთვრალე კამეჩის რქებით გაწვება, სტომაქი აგიჯანყდება და, უკაცრაული პასუხია, შეურაცხყოფილი კუჭი სტვენასა და გოდებას დაიწყებს ხოლმე. თუ იმ ქალბატონმაც ეს გოლგოთა ადარა, კიდევ კარგი, რომ იმ წერილსა და ველ მათრახს დაგვაჯერა.

რაღა სხვისი გითხრათ, იმ უწყინარ დღეს ერთ სუფრაზე ისე დამლოცეს, თამადის სიტყვაში ისეთი ბედაური ება, თავზე ისეთი თვალ-მარგალიტი გადამაყარეს, რომ უჩემოდ საქართველო შემეცოდა, რუსთაველის პროსპექტზე ძლივს გამოვეტეი და, სანამ კარგად არ გამოვფიზილდი, ყველა გამვლელი ქონდრის კაცი მეგონა. მეუღლეს ავუხირდი, რატომ ყამარის თვალ-წარბი არ გასხია ასეთი ვაჟკაცის ცოლსმეთქი და ჩაძინებამდე სულ ერთს ვიმეორებდი: „ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა“.

მეორე დღეს ქალაქში ნაწყენი სახე დამქონდა. შე კაი დედამამიშვილო, როცა კარგად იცი, რომ ტიკი ვარ, რუმბობას რატომ მაბრალებ, ან მაგ სავსე სუფრაზე სასმელ-საჭმელით ისე რატომ მამძიმებ, რომ ყევარი ხარი ვერ გამწევს? ნუ იტყვით, თითქოს სიყალბემ ღია კარი ნახა, თავისით შემოვიდა და სუფრასთან ჩამოჯდა. რაღაც არა მგონია ასეთი გულთმისნობა.

მაშ ერთმანეთს შარვალზე რატომ ვუყურებთ — ეგება გამოვიცნოთ, ვინ რბილ სკამზე ზის სამსახურში და ვინ მაგარზე, ვისი სადღეგრძელო როგორი მშვილდით ვისროლოთ — დიდით თუ პატარით? ვინ სად გამოგვადგება? ამიტომ არის, რომ ის ქალბატონიც ჩვენს მადას გაიქცა და სირცხვილ სენდვიჩივით გადაგვაყლაპა.

ხელის ფართოდ მოქნევა ვიცით ქართველებმა! გველს ნატვრისთვალს წავართმევთ და სტუმრად დაპატიჟებულს სუფრაზე გავუგორებთ — მერე კი ყური გვესება ჭორ-მართალით — ქართველებს ჯიბეების ნაცვლად ფულის ქისები აკერიათ, მეტი არაფერი უნდათ, ოღონდ შიგ ხელის ჩაყოფა არ დაიზაზრონო! თანაც თითქმის არ მუშაობენ, რომ იმუშაონ, რომ დისოა იქეიფონ და, თუ ქეიფობენ, როგორღა იმუშაონო (უბრალო ლოგიკის ამბავია).

ამ ზღარბსა და ეკალს ალბათ შენთვისაც უჭირვლია, მკითხველო. და ალბათ ჩემსავით შუბლიდან ტყავი აგიძვრია, ვიდრე ვინმეს დაუმტკიცებდი, რომ ქართველი საძოვარზე მიშვებული ხარი კი არ არის, არამედ დაზგასთან მდგარი მუშაა, ხელმართალი გლეხია, შუბლზე მზეგადავლილი მეცნიერია.

ასეა, ვის დავაბრალოთ, როცა ზურგზე, ჩვენივე სახრე გვცემს. ამიტომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავიმიწყოთ ლუარსაბის ქართველობა და ქართული ლუარსაბობა. თორემ დღეს თუ კენჭი გვესროლეს, ხვალ ლოდი მოგვხვდება...

რა კარგი იქნებოდა, გერმანელო სტუმარო, მწარე სიმართლესთან ერთად ისიც გეთქვათ, რომ ჩვენში თბილი გული დაგხვდათ: სადაც მოგშიოდათ — თონეში შოთი ჩაეკრა, სადაც მოგწყურდათ — წყარო ამოჩუხჩუხდა, სადაც დაგცხათ — ჩრდილი გადაგეფარათ.

მაგრამ მაინც გმადლობთ სიმართლისათვის. თქვენმა ალიყურმა ლოყა კი გაგვიფიცხა, მაგრამ თვალიც უფრო ფართოდ გაგვახელინა... იქნებ, ამის შემდეგ მაინც ვისწავლოთ, რომ სადაც მოიცრო სინინთ მისატანია, იქ დიდი ხონჩითი არ დავდგათ.

ის ერი, ვინც ახალუხს ოცდაცამეტი ღილი დაიკერა, ქალამანს თასმა და ჭვინტი აუმეერა, ვარძიის კლდეს წერაქვი დაჰკრა, „სუფრული“ თქვა, სილამაზისა და მაღალი ეთიკის ერია. ამიტომ ქართულ პუროობას ძველი მარილი უნდა დავუბრუნოთ, სადღა ნახავთ, რომ ჩვენს გრძელ სუფრაზე კალამბური კალიასავით დახტოდეს, ხუმრობა და თავგადაგდებული სიცილი იღრეებოდეს, თავსიმღერა იტოტებოდეს. ვინ დადგაცდის ამდენს, ან რა აგამღერებს ისეთი ყანწის დანახვაზე, შიგ რომ წელამდე ჩაჯდები?! ამიტომ თავიდანვე ღვინის დევს უნდა დაეჭიდო და ჩვენს სუფრაზეც უფრო ხშირად „ბატი ყიყინებს“ ხოლმე.

ეს არ უთქვამს ჩვენს მამხილებელს, მაგრამ ასე რომ არის, ამას ფიცი და მტიცი არა სჭირდება. მთავარია, სტუმარი კარგად გამოვათროთ, ელამი თვალებითა და არეული ნაბიჯით დაგვიშვათ და მერე თუნდაც სეტიცხოველი დაუნგრევია, აღარ გვენაღვლება. არც ეწერა იმ ვერმანელის ანათემაში, მაგრამ ესეც სიმართლეა, მწარე სიმართლე, ამიტომ გაგვირბის ჯიბიდან ბარაქა და კაპიკი. ნახევარზე მეტს რომ სუფრაზე ვტოვებთ, ხან კიდევ გუშინ მამასისხლად ნაყიდს დღეს მანქანას ნაგავად რომ ვატანთ, რატომ იმას არ ვფიქრობთ, რომ ჩვენსავე ოჯახს აყიალად ვუვარდებით?

ალბათ იტყვით, ეს ქართული ხელგაშლილობააო. ჩემი აზრით, ქართველობა აქ სულაც არა ჩანს. ზომიერი პუროობა რომ წესად დავიდოთ, განა სიონი და სვეტიცხოველი დაგვენგრევა, ასეთი დაგვეკარგება და ერეკლეს ხმალი აგვიტირდება? საქმე ის არის, რომ ცრუპატრიოტიზმის ამ გზაზე უფრო ხშირად კოკლი სინდისი დადის და უხვი პურმარილით ქართველობას ის ზომავს, ვისაც ერის წიგნში საკუთარი ხელით ჯერ სტრიქონიც არ ჩაუწერია, ვისაც მოყვასი გასაპარსავი ცხვარი ჰგონია.

ეს ყველაფერი მართალია. მაგრამ მთლად ისეც ნუ იფიქრებთ, სტუმარო, რომ ქართველს ნიადაგ მუცელში მშიერი ქორი უწოვის და ბაყბაყდევევით ნთქავს შეშწვარსა და მოხარშულს. ჩვენც თქვენსავით ფრიად მოკრძალებულად გეახლებით რძეს, ჩაის, სადილს და ვახშამს, და თუ სტუმრისათვის ჩიტის რძეს ვმოულობთ, ეს სტუმრის სიყვარულით მოგვდის და... როგორ გაეკადნიერდები, რომ უტაქტობა დაგწამოთ... მაგრამ, რა ვქნა, თქვენს ყველა სტრიქონში მაინც კრაზანა ბზუის და თქვენც სენსაციის ავტორი გახდით.

იქნებ ზოგმა თქვას, ვინ ჰკითხავს, ჩვენს ღობეს რატომ გადმოვიდა, ნაკლიც ჩვენია და საქებიცო, მაგრამ მთავარი ის არის, რომ იმ სტრიქონებიდან ავარდნილი ბოლი დიდი ხანია თვალსა გვწვავს, და მაინც რატომღაც კვლავ გრძელსა და ჭერამდე სავსე სუფრებს ვშლით. ჩაიზე, სადილად, ვახშმად დაპატიჟებამ დაკარგა თავისი ლაზათი და ნამდვილი შინაარსი. ლამაზ ტრადიციას ლამაზი შენახვა უნდა, რომ შთამომავლობას არ დავუკარგოთ.

დე ქართული სუფრა, ასე ბრძნული, ასე გულგახსნილი, თავის ძველსა და ლამაზ სიმღერას მღეროდეს...

ჯემალ აფციაური,
დოცენტი.

რას გვიამბობს გიდი?

ანუ როგორ ვხვდებით ხოლმე ჩამოსულ სტუმრებს

ჯერ ერთი, ჩემი აზრით, სწორად მოიქეცით, ეს მასალა რომ დაბეჭდეთ. იგი ბევრ რამეზე აგვიხელს თვალს. მართლაც, რა უბედურება გვჭირს, ჩამოსულ ადამიანებს ასე გადაჭარბებულად რომ ვუმასპინძლდებით, რითაც დაცინვისა და დამცირების საგანი ვხდებით. ასეთი დამახინჯებული ფორმები ე. წ. ტრადიციებისა, რაც სტუმრის თრობა-ძღომამდე მდაბლდება, უნდა დავგმოთ! ეს ეხება არა მარტო უცხოეთიდან ჩამოსულთ, ზარმიდ სხვა რესპუბლიკებიდან და ქალაქებიდან ჩამოსულთაც.

პირველი შემთხვევა ხომ არ არის, როცა ბევრი სტუმარი ასეთი მასპინძლობის გამო არა მარტო დაგვცინის და, ზოგჯერ, შურითაც ივსება, არამედ გაკვირვებულიც რჩება, საიდან აქვთ ქართველებს ამდენი დოვლათიო. ჩვენ კი ვიცით, რომ ბევრი მასპინძელი თვითონ ყველაფერს მოიკლებს, ოჯახსაც მოაკლებს და სტუმრისთვის არაფერს აშურებს, მაგრამ მათ ეს როდი ესმით.

ვის სჭირდება ასეთი „გულუხვობა“?! ამაზე ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ეს წერილი ყველაფერს ვერ დაიტევს. დროა გავიგოთ, რომ ამის არც შესაძლებლობაა, არც საჭიროება და მას არავითარი გამართლება არა აქვს. იმედია, ჩვენი თანამემამულენი სწორ დასკვნებს გამოიტანენ.

ამას რომ ვამბობ, თვით პეტრა მიხაელის მისამართითაც უნდა მოგახსენოთ: თუ საქართველოში სხვა ვერაფერი ნახა და „ბორჯომისა“ და „მადლობის“ მეტი ვერაფერი დარჩა შეხსიერებაში, ამაში საკუთარ თავსაც უნდა უსაყვედუროს, მარტო ვინმე შოთას არ უნდა დაებრალოს ყველაფერი...

ახლა გადავიდეთ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც უცხოელის წერილში დასახელებულ შოთას და ლამარასნაირ ადამიანებს ეხება. ვიმეორებ, ეს ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია! მე თვითონ შევსწრებივარ ისეთ საწყენ ამბავს, როცა ჩვენი შავი ზღვის სანაპიროზე ტურისტებს გიდი ისეთ რამეს უამბობდა, რომ თმა ყალყზე დამიდგა! ვერ გავიგე, იგი საქართველოს აცნობდა სტუმრებს, თუ სხვა რომელიმე ქვეყანას. ყოფილა შემთხვევა, რომ ვერ მოგვითმენია და ჩავრეულვართ კიდეც, მაგრამ ამით რა იცვლება, ყველა ტურისტულ ჯგუფს ხომ ვერ გავყვებით?

ასეთი დეზინფორმაციის მიზეზი ზოგჯერ შეიძლება ტენდენციურობაა, მაგრამ უმეტესად მაინც გიდების მომზადების დაბალი დონეა, და სწორედ ამ ნაკლის გამოსწორებაზე უნდა ვიზრუნოთ. აი, პეტრა მიხაელის წერილში ახალგაზრდა გერმანელი ლამარა რომ არის ნახსენები, როგორ ფიქრობთ, როგორი მეგზური იქნებოდა? უცხო ენათა სპეციალობის კურსდამთავრებული, სამწუხაროდ, ან სრულად არ იცნობენ, ან ძალზე სუსტად იცნობენ საქართველოს ისტორიას, ლიტერატურას, კულტურას, რადგან შესაბამის ფაკულტეტებზე ამ საგნებს მათ არ ასწავლიან, გიდებად და სტუმართა გამყოლებად კი უმეტესად სწორედ ეს კურსდამთავრებულნი არიან და, ბუნებრივიცაა, რადგან უცხო ენის ცოდნა საჭიროა სტუმართან ურთიერთობისათვის.

მოდით, ვიფიქროთ ამაზე და მივაღწიოთ იმას, რომ დასახელებულ ფაკულტეტებზე ჩვენს სტუდენტებს — მომავალ მთარგმნელებსა თუ გიდებს ასწავლიდნენ ჩვენი ერის ისტორიას და მასთან დაკავშირებულ სხვა საგნებს. ასეთი ცოდნით აღჭურვილნი კი სწორად და საინტერესოდ დაკანონებენ სტუმრებს ჩვენს რესპუბლიკას.

ალბათ იმაშიც დაგვეთანხმებით, რომ გიდებს იმასაც უნდა ვასწავლიდეთ და მყარ ჩვენად ვუნერგავდეთ, თუ როგორ უნდა იმუშაონ, რა და როგორ უჩვენონ სტუმრებს ჩვენს ქვეყანაში.

სათქმელი ბევრია, მაგრამ ახლა ამას დავჯერდებით.

ტარიელ კვანჭილაშვილი,
პროფესორი.

სურათზე: ზურაბ სოტკილავა ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად გამოდის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის საოჭროში იმპროვიზირებულ სცენაზე.

ო. ბერეჭიკიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კონცერტი ქარხანაში

ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი არსებობის ორი წლის განმავლობაში კლასიკური მუსიკის საუკეთესო პროპაგანდისტი გახდა. იგი ქუთაისის ხუთრეული საწარმოების, „მუშა-მოსამსახურეთა ზონირ სტუმარია“ გახდა, დასავლეთ საქართველოს [illegible] ნაგებობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელთა წინაშე.

ამ დღეებში სიმფონიურმა ორკესტრმა ქუთაისის სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის მუშაკებს გაუმართა კონცერტი. საამქროში, იმპროვიზირებულ სცენაზე მუსიკოსებმა შეასრულეს როსინის, ზ. ფალიაშვილის, ვ. დოლიძის, რ. ლალიძის ნაწარმოებები.

კონცერტში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტმა, საქართველოს სახალხო არტისტმა, საკავშირო და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა ზურაბ სოტკილავამ. მან შეასრულა კავარადოსის არია (პუჩინის „ტოსკა“) და ხოსპერო თეატრის სოლისტთან ა. ფხაკაძესთან ერთად იმღერა აბესალომისა და მურმანის duetტი.

იმარჯვებს თავდადება

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ჯ. ენუქიძე გვპატყობინებს.

მოსკოვი. (ჰ აგვისტო. ტელეფონით). საქართველოს სპორტსმენებს თავიანთი შემართებითა და მებრძოლური თვისებებით არაერთხელ დაუპყრიათ ათასობით სპორტის ქომაგთა გულები. გამოკლისი არც ეს სპარტაკიადა გახლდათ. გავიხსენოთ, ახლახან დამთავრებული წყალბურთელთა ტურნირი, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა, მართლაც რომ, გმირული თამაშით წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს მაყურებელზე.

ასეთივე, თუ მეტი არა, შთაბეჭდილება დატოვეს ჩვენმა ფეხბურთელებმა ლენინგრადის ნაკრებთან შეხვედრის დროს, რომელსაც 5 აგვისტოს, სპარტაკიადის საზეიმო დახურვის დღეს უნდა გადაეწყვეტა, თუ ვის მიეცემოდა ფინალურ მატჩში თამაშის უფლება.

როცა ცნობილი გახდა ყაზახეთის გუნდთან რუსეთის ფედერაციის ნაკრების გამარჯვება—4:0, საქართველოს ფეხბურთელთა ფინალში გასვლის ამბავი ერთობ საეჭვო შეიქმნა. ამ დროისათვის ჩვენს სპორტსმენებს მხოლოდ ორი გოლი ჰქონდათ გატანილი და სულ ცოტა კიდევ ორი ბურთის გატანა იყო საჭირო. სხვა ალბათ ფარხმალს დაჰყრიდა, ჩვენმა ფეხბურთელებმა კი პირიქით, სწორედ ამ რთულ ვითარებაში გამოიჩინეს უაღრესი ბრძოლისუნარიანობა და რაღაც ზეძალით შეუტიეს უშეღავათოდ მებრძოლ გუნდს. 15 წუთის განმავლობაში მომავალმა ფინალისტებმა ისე დიდებულად ითამაშეს, რომ მსოფლიოს ნებისმიერ გუნდს შეშურდებოდა. აქ იყო ყველაფერი, სოლოგასვლები, ფინტების ფეიერვერკი თუ სწრაფი გარღვევები, დაუოკებელი ლტოლვა წარმატებებისაკენ და აკი ეს აღმოფრენა უნაყოფო არ გამოდგა.

ფინალში გამსვლელი ორი ბურთი გატანილ იქნა ლენინგრადელთა კარში და საქართველოს ნაკრები სპარტაკიადის ჩემპიონატის წოდებისათვის მატჩში ჩვენი ქვეყნის თავგარ სტადიონზე — ლუჟნიკში მოსკოველთა კოლექტივს შეხვდება. ლენინგრადელებთან მატჩში საქართველოს ნაკრებში იყვნენ: გოგია (ბაბელია), ხულაქველიძე, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, კაკილაშვილი (მუჯირი), ჩელებაძე.

ერთობ საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობს სასპარტაკიადო ასპარეზობა მშვილდოსნობაში. ქალებმაც და ვაჟებმაც განვლეს შეჯიბრების პირველი ნახევარი. მათ თითოეულ დისტანციაზე პირველი სერიები დაამთავრეს და ახლა ჯერი მეორე სერიებზე დადგა. შეჯიბრების მეორე დღეს ქალები 50 და 30 მეტრზე ცდიდნენ ძალებს. ამ დისტანციაზე დამთავრებული ასპარეზობის შემდეგ ოთხივე დისტანციაზე მოპოვებული შედეგებით ლიდერთა ოთხეულში სწორედ ისინი არიან, ვისაც არაერთხელ უსახელებია თავი გამართულ საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებებში. **ესენი არიან ზებინოსო რუსტამოვა (ტაჯიკეთი), ქ. ლოსაბერიძე, ნ. ბუტუზოვა და ო. როგოვა (ორივე უზბეკეთი). სწორედ ამ თანამიმდევრობით ლიდერობენ აღნიშნული მშვილდოსნები ოთხ დისტანციაზე პირველი სერიების შემდეგ. ლოსაბერიძე რუსტამოვას მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩება. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ლოსაბერიძემ 80 მეტრზე სროლაში 3 კოვპაკის სასპარტაკიადო რეკორდი (1975 წლისა) მოხსნა.**

მხატვრულ ტანვარჯიშში დამთავრდა შეჯიბრება მრავალჭიდში. აქ უძლიერესი გახლდათ ი. დერიუგინა (უკრაინა) — 48,4 ქულა. მეორე ადგილზე გავიდა ე. ტომასი (რსფსრ) — 48,0. ქართველმა გოგონამ ირინე გაბაშვილმა ფაქიზი და ნატიფი ოსტატობით მოსკოველთა გულები დაიპყრო. მან მრავალჭიდში მესამე ადგილი მოიპოვა (47,8) და, როგორც ხედავთ, ძალიან ცოტა დაკლდა იმისათვის, რომ პირველობა მოეპოვებინა.

ათმეტრიანი კოშკიდან წყალტომაში ქალთა პირველი დღის ასპარეზობის შემდეგ დაწინაურდა ი. კალინინა (რსფსრ) — 373,17 ქულა. კარგად იასპარეზა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ლიანა ცოტაძემ. იგი წინასწარ შეჯიბრებაში კალინინას შემდეგ მეორე იყო — 367,98 ქულა. მესამე ადგილზეა ს. ემირზიანი (სომხეთი) — 355,38.

მოკრივეთა ასპარეზობა დასასრულს მიუახლოდა. ამ შეჯიბრებაში მონაწილე საქართველოს სპორტსმენებმა ო. დეულინმა (48 კგ), ა. ხიზანიშვილმა (54 კგ), მ. თაქთაქიშვილმა (71 კგ) და დ. კვაჭაძემ (81 კგ) მთელი თავისი ძალები და ოსტატობა ჩააქსოვეს და მნიშვნელოვანი წარმატებებიც მოიპოვეს. **დეულინმა ნახევარფინალში შესძლო უ. ომაროვის დამარცხება და ფინალში გაიკვლია გზა, სადაც მისი მეტოქე იქნება კ. საფინი (ყაზახეთი).** თაქთაქიშვილი რომ მესამე ადგილზე გავიდა, ამის შესახებ უკვე ვიტყობინებოდით. რაც შეეხება ხიზანიშვილსა და კვაჭაძეს, მათაც წააგეს ნახევარფინალური შეხვედრები და მესამე ადგილები ხვდათ წილად. ხიზანიშვილმა, მართალია, თავდადებულად იბრძოლა ორ ნახევარფინალში, მაგრამ მისი მეტოქე, ს. ხაჩატრიანი (სომხეთი) უფრო ძლიერი აღმოჩნდა. გაოცება გამოიწვია კვაჭაძე-ა. იანჩაუსტასის (ლიტვა) ორთაბრძოლისას მსაჯების მეკერძოებამ. ოთხმა მსაჯმა ხმა მისცა ლიტველ მოკრივეს, ხოლო ერთმა—კვაჭაძეს. არაფერს ვიტყოდით, რომ ეს ხმათა განაწილება ამ ორთაბრძოლას ზუსტად გამოხატავდეს. საქმე ის არის, რომ სამივე რაუნდის განმავლობაში ლიტველმა მოკრივემ ერთი დარტყმაც ვერ მიაყენა კვაჭაძეს და მაინც. მსაჯების დახმარებით ფინალში გავიდა. ჩვენ ერთხელაც შევნიშნეთ, რომ სპარტაკიადაზე მსაჯობა ძირითადად მაღალ დონეზეა, მაგრამ არის მცირე გამონაკლისებიც, რომელთა გამო ესა თუ ის სპორტსმენი ზარალდება.

საბოლოოდ დაჯამდა შედეგები ტყვიით სროლაში. სპორტის ამ სახეობაში გუნდური გამარჯვება მოიპოვეს რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა — 158 ქულა. საქართველოს ნაკრები 34 ქულით მეთერთმეტე ადგილს დასჯერდა.

ძიუდოისტებმა შეჯიბრების მეოთხე დღეს 78 კგ წონით კატეგორიაში იასპარეზეს. ამ წონაში საქართველოს სპორტული დელეგაციის ღირსებას იცავდა შოთა ხაბარელი. მან პირველივე შეხვედრა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელ ა. ჯოლოსოვთან წააგო და ამის შემდეგ სანუგეშო ტურნირში სცადა ძალები. ამ ტურნირის პირველ ეტაპზე ხაბარელმა სძლია მოსკოველ ვლ. ასტაზოვს, მაგრამ მომდევნო ორთაბრძოლა უკრაინელ ვლ. ბიჩენოკთან დათმო. და საბოლოოდ აზერბაიჯანის ძიუდოისტ ა. სალიროვთან ერთად მეშვიდე-მერვე ადგილები გაიყო. ხაბარელმა გუნდს თერთმეტი ჩასათვლელი ქულა შესძინა.

ოთხ წონითის კატეგორიაში დამთავრებულ ასპარეზობათა შემდეგ პირველ ადგილზეა რუსეთის ფედერაციის ნაკრები — 122 ქულა. საქართველოს ძიუდოისტები 47 ქულით ჯერჯერობით მერვე ადგილზე არიან.

უკანასკნელ საათს!

● **მეშვიდლანნოგა.** სამი დღის ასპარეზობის შემდეგ მოიხარ ქალთა შორის დაწინაურდა უზბეკეთის გუნდის წარმომადგენელი ნ. ბუტუზოვა, რომელსაც 1909 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა ტაჯიკეთის გუნდის წარმომადგენელი ზ. რუსტამოვა (1900), მესამეზე ქ. ლოსაბერიძე (1898), მეოთხეზე — ო. როგოვა (უზბეკეთი, 1892).

● **პრიზი.** 48 კგ წონითს კატეგორიაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფინალურ ორთაბრძოლაში უოლბლოდ იასპარეზა საქართველოს გუნდის წარმომადგენელმა თ. დეულინმა, რომელიც დამარცხდა ყაზახეთის გუნდის წარმომადგენელთან კ. საფინთან.

● **მხატვრული ტანვარჯიში.** უსაგნო ვარჯიშში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ე. ტომახი. მაგრამ გაიმარჯვა სახტუნაოი ვარჯიშში, რომელშიც მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს ი. დერიუგინამ და ი. გაბაშვილმა. მაგრამ **ი. გაბაშვილმა** ყველაზე დიდი წარმატება მაინც ბურთით